ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ეთერ ფერცელიძე

გიორგი ბრწყინვალის საშინაო პოლიტიკა „ძეგლის დადების“ მიხედვით

სპეციალობა: ისტორია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის

მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ნარგიზ სურმანიძე

ხიჭაური

2021

ანოტაცია

XIV საუკუნეში საქართველოს სათავეში ჩაუდგა გიორგი V, შემდგომში ბრწყინვალედ წოდებული. ამ დროს საქრთველოში იდგა მონღლთა ბატონობის შედეგად მძიმე პოლიტიკური, სოციალური და ეკნომიკური მდგომარეობა. მან წარმატებით განახორციელა მონღოლთა უღლის საბოლოოდ გადაგდება და ქვეყნის გაერთიანება. გიორგი ბრწყინვალის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკანონმდებლო საქმიანობა. მისი ინიციატივით მთიულთათვის შემუშავდა კანონთა კრებული ,,ძეგლის დადება“. სწორედ აღნიშნული ძეგლის კვლევა წარმოადგენს ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის ძირითად მიზანს. რომლის შესწავლა დაგვეხმარება უკეთ დავინახოთ საქართველოს შიდა პოლიტიკური ვითარება და ის მიზეზები რამაც განაპირობა სპეციალურად, ცალკე, მთიულთათვის ,,ძეგლის დადება“.

ნაშრომი ეყრდნობა ჩვენამდე მოღწეულ ,,ძეგლის დადების“ დოკუმენტს, ჟამთაღმწერელის თხზულებას, ივანე ჯავახიშვილის, ვახუშტი ბატონიშვილის, ბესარიონ ლომინაძის და სხვა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებს.

annotation

In the 14th century, George V, later called the Brilliant, ruled Georgia. At that time, Georgia was in a difficult political, social and economic situation due to the Mongol domination. He successfully carried out the final overthrow of the Mongol yoke and the unification of the country. From the measures taken by George V the Brilliant , special attention is paid to the legislative activity. At his initiative, a collection of laws "Laying a Monument" was developed for the entertained. The study of this monument is the main goal of our qualification thesis. The study of which will help us to better see the internal political situation in Georgia and the reasons that led to the "Laying a Monument " specifically for the entrants.

The work is based on the document of "Laying a Monument ", the works of the chronicler, the works of Ivane Javakhishvili, Vakhushti Batonishvili, Besarion Lominadze and other prominent Georgian historians.

სარჩევი

შესავალი ----------5

თავი I. საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIII საუკუნის მიწურულსა და XIV ს-ის პირველ ნახევარში ----------10

თავი II. გიორგი ბრწყინვალე ----------19

თავი III. გიორგი მეფის საკანონმდებლო საქმიანობა ----------24

თავი IV. „ძეგლის დადება“ მეფეთ-მეფის გიორგის მიერ ----------39

1. ,,ძეგლის დადებაში“ აღმნიშვნელი ტერმინების განმარტებანი ----------39

2,,ძეგლის დადების“ აუცილებლობა და მოქმედების არეალი ----------32

3.,,ძეგლის დადება“ ----------38

დასკვნა ----------49

გამოყენებული ლიტერატურა ----------51

შესავალი

XIV საუკუნის დასაწყიში საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ პიროვნებას წარმოადგენს გიორგი V ბრწყინვალე, რომელმაც ჩაიბარა საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა. მისი გამეფება დაემთხვა საქრთველოში მონღლთა ბატონობის შედეგად გამოწვეულ რთულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკნომიკური მდგომარეობას. მიუხედავად სირთულეებისა გიორგი ბრწყინვალემ წარმატებით განახორციელა მონღოლთა უღლის საბოლოოდ გადაგდება და ქვეყნის გაერთიანება.

მონღოლთა ბატონობის დროინდელი საქართველოს ისტორია დაწვრილებით აქვს გადმოცემული, უცნობ ავტორს, რომელსაც ქართული ისტორიოგრაფია ჟამთააღმწერელს უწოდებს. ჟამთააღმწერლის თხზულება შესულია ,,ქართლის ცხოვრების“ კრებულში, სადაც თხრობა იწყება ლაშა-გიორგის მოღვაწეობით და მთავრდება გიორგი ბრწყინვალის გამეფებით. ავტორის პიროვნების შესახებ ძალიან ცოტა ვიცით. მისივე თხზულებით ირკვევა, რომ იგი უნდა ყოფილიყო გიორგი V-ის (1314-1345 წწ) თანამედროვე, სასულიერო წრის წარმომადგენელი, საერო მწერლობაში განსწავლული პიროვნება, მოსწრებია მონღოლთა ბატონობასაც და მათი ბატონობის დასრულებასაც საქართველოში; იცოდა რამდენიმე ენა: ბერძნული, სპარსული, იუღურული, მონღოლური. ახლო ურთიერთობა ქონია სამეფო კართან.

ჟამთააღმწერლის ნაშრომის მიხედვით კარგად ჩანს თხზულების მიზანდასახულობა, ავტორს თავისი ნაშრომი თემატურად და ქრონოლოგიურად ორ ნაწილად ჰქონდა ჩამოყალიბებული. პირველ ნაწილში ავტორი შეეხო მონღოლთა ბატონობის ხანას საქართველოში, მისივე სიტყვებით: ***,,ჟამამდე მეფეთა შორის ბრწინვალისა“***. მეორე ნაწილი ეთმობა ***,,თათართა ზედა ძლევის“*** პერიოდს, ანუ მისი მეფობის აღწერას, გიორგი ბრწყინვალის ,,ჟამს“.

ჟამთააღმწერელის მთავარი მიზანია გადმოგვცეს საქართველოს დაცემა მონღოლთა ბატონობის დროს. მონღოლთა ბატონობა საქართველოში ავტორს

შეფასებლი აქვს როგორც ***,,საქართველოს მოოხრება", ,,საქართველოს სრულიადი მოსპობა", ,,სრულიად განწირვა ქართველთა ნათესავისა".*** ავტორი არა მხოლოდ აღწერს, არამედ მიზეზებსაც ეძიებს.

ავტორი თხზულების დასაწყისში, სინანულით აღნიშნავს, თუ ***,,ვითარ იქმნა ცვალება ზედისა ქართველთა ნათესავისა", ,,სვე-სვიანისზედისა, ,,უკუქცევა", მაღლისა და საჩინოსა".*** წუხს, რომ დავით აღმაშნებლის დროიდან მის დრომდე, გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობამდე ***,,თათართა ზედა ძლევა''*** არ მომხდარაო.

ჟამთააღმწერელი აღფრთოვანებით საუბრობს გიორგი ბრწყინვალის სახელმწიფოებრივ ღონისძიებების შესახებ, მაგრამ წუხს ხანგრძლივი ძნელბედობის უარყიფითი შედეგების სიმრავლეზე: მეფეები უღირსნი გამხდარან, მთავრები უპიროები და მოღალატეები, '***აღწერილ ამბებს ავტორი უპირსპირებს წინა ხანას, როცა ქართველთა ნათესავი ,,სვე-სვიანი'' იყო, როცა ქვეყანას ,,მეფეთა შორის ბრწყინვალე თამარი" განაგებდა, როცა ,,ყველა წინააღმდგომი'' ,,მეფის მორჩილი იყო''.*** ,,საქართველოს მოოხრება'' ჟამთააღმწერლის თხზულებაში დასაბუთებულად არის აღწერილი. მონღოლთა წინაშე ნაკისრმა ხარკმა და მათ მუდმივმა ლაშქრობებმა გამოიწვია ხალხის გაღარიბება და მოსახლეობის განადგურება, განსაკუთრებით გლეხობისა; გახშირდა მონღოლთა ბატონობის უკმაყოფილებით გამოწვეული აჯანყებები. მონღოლურ სახელმწიფოთა შორის ამტყდარმა ომებმა გაანადგურა საქართველოს მეურნეობა; მონღოლთა მხარდაჭერით სეპარატისტული გამოსვლები დაიწყეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებიის წინაარმდეგ, ქვეყანას ავიწროვებდა ჩრდილო კავკასიელი ფეოდალებიც.

ყოველივე ამან განაპირობა გიორგი ბრწყინვალის მიერ რეფორმების გატარების აუცილებლობა. მის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკანონმდებლო საქმიანობა. მისი ინიციატივით მთიულთათვის შემუშავდა კანონთა კრებული ,,ძეგლის დადება". სწორედ აღნიშნული ძეგლის კვლევა წარმოადგენს ჩვენი საკვალიფიკაციო

ნაშრომის ძირითად მიზანს. რომლის შესწავლა დაგვეხმარება უკეთ დავინახოთ საქართველოს შიდა პოლიტიკური ვითარება და ის მიზეზები რამაც განაპირობა სპეციალურად, ცალკე, მთიულთათვის ,,ძეგლის დადება“.

მნიშველოვანი წყარო არის **ვახუშტი ბატონიშვილის** თხზუელბა ***,,აღწერა სამეფო საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი.''*** იგი შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში აღწერილია საქართველოს ისტორია, ხოლო მეორე ნაწილში ისტოირა და გეოგრაფია 1469 წლიდან XVIII საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულამდე. რომელთაგან ჩვენთვის საინტერესოა მეშვიდე თავი, სადაც ავტორი საუბრობს ქართლის მეფეთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ავტორი საინტერესო ცნობებს გვაწვის მეფე გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდზე, მის ზეობის ხანაში მოჭრილ ფულზე, საერთაშორისო ასპარესზე მიმდინარე მივლენებზე.

გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ივანე ჯავახიშვილი, თავისი ,,ქართველი ერის ისტორიის“ მესამე ტომი, სადაც აღწერილია საქართველოს ისტორიის XIII-XIV საუკუნეების პერიოდი. წერილობითი წყაროებზე დაყრდნობით განიხილავს იმ ძირითად საკითხებს, რომელიც გიორგი V ბრწყინვალის მოღვაწეობას უკავშირდება; ნაშრომში საინტერესოდ აქვს გაშუქებული გიორგი V პიროვნება, მისი გამეფების გარემოებები, გადმოცემული აქვს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი. ასევე საყურადღებოა მისი ,,ქართული სამართლის ისტორია“, რომელშიც ავტორი თანმიმდევრულად განიხილავს მიზეზებს, რომელმაც განაპირობა მთიელთათვის განკუთვნილი კანონთა კრებულის - ,,ძეგლის დადების“ - შექმნის აუცილებლობა.

მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ისტორიკოსი ბ.ლომინაძე, თავის შრომებში: 1),,მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ“, 2) ,,მონღოლთა ბატონობის გაუქმება, გიორგი ბრწყინვალე“. ნაშრომები შესულია საქართველოს ისტორიის ნარკვევების მესამე ტომში.

შრომებში ფართოდაა განხილული XIII საუკუნის შუა ხანებიდან დაწყებული XIV საუკუნის პირველი ათწლეულის საქართველოს ისტორია; საუბარია ქვეყანაში მონღოლთა ბატონობით გამოწვეულ უმძიმეს მდგომარეობაზე, მათ წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებზე, დამპყრობლების პოლიტიკური ძალაუფლების თანდათანობით შესუსტებასა და საბოლოოდ მათი ბატონობის ალაგმვაზე. დიდი ყურადღება ეთმობა გიორგი ბრწყინვალის მიერ წარმოებულ ეკონომიკურ პოლიტიკას, და რაც ჩვენთვის საინტერესოა მნიშვნელოვან მსჯელობებს ვხვდებით მეფე გიორგის მიერ, ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს შენარჩუნების მხრივ გადადგმული ნაბიჯების შეფასების თვალსაზრისით; კერძოდ, საიტერესოა ქართლის მთიანეთში არსებულ მდგომარეობისა და სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებების შესახებ არსებული დასკვნები.

ჩვენი საკვალიფიკაციო თემის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა სარგის კაკაბაძის მიერ გამოცემული ნაშრომი ,,ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“, ავტორი ცვლილებებისა და კომენტარების გარეშე გვთავაზობს დოკუმნეტურ მასალას და გვაძლევს საშუალებას დეტალურად გავეცნოთ მთიულთათვის შექმნილ კანონთა კრებულს - ,,ძეგლის დადება“.

ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომს წარმოადგენს ნ. ურბნელის ,,ძეგლის დადება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“. ავტორს ღრმად აქვს შესწავლილი კანონთა კრებულში შესული ნორმები და ქცევის წესები, რის საფუძველზეც საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს, უშუალოდ კანონების, იქ მოხსენიებული პირებისა და სასჯელის ზომის შესახებ.

საინტერესოა ასევე ს. მაკალათიას წიგნი ,,გიორგი ბრწყინვალე“, რომელიც მოგვითხრობს საქართველოზე გიორგის მოღვაწეობის პერიოდში, იგი გვაძლევს საშალებას, დავინახოთ, როგორი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარება სუფევდა იმ დროს საქართველოში.

ისტორიული რაკურსისთვის კარგი ნაშრომია ასევე ვალერიან კიკნაძის ,,საქართველო XIV საუუნეში“. ამ წიგნში ავტორი ფართოდ განიხილავს, საქართველოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ მდომარეობას, განსაკუთრებულ ყრადღებას იპყრობს აქ ავტორის მოსაზრებები გიორგი V გამეფების წელთან დაკავშირებით, რაც შემდგომში გვეხმარება ძეგლის დადების შექმნის პერიოდის დადგენაში.

საყურადღებოა ასევე ვალერიან მეტრეველის ,,საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, ეს ნაშრომი ჩვენთვის იმით, არის მნიშვნელოვანი, რომ აქ შეგვიძლია გავეცნოთ და წარმოდგენა შევიქმნათ XIV საუკუნეში საქართველოს სახელმწიფო მოწყობისა და თანამდებობების პირების უფლება მოვალეობების შესახებ.

თავი I. საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIII საუკუნის მიწურულსა და XIV ს-ის პირველ ნახევარში

XIII საუკუნის 20-იან წლებში მონღოლთა გამოჩენამ საქართველო მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩააგდო. ქართველი პოლიტიკოსების მცდელობა ევროპაში ეპოვათ დახმარება უშედეგოდ დასრულდა და იძულებული გახდნენ ეღიარებინათ მონღოლთა ბატონობა. მონღოლების წინაშე ნაკისრმა ვალდებულებებმა უმძიმესი შედეგები გამოიღო. ეკონომიკურად გააღატაკა და დაშლის გზაზე დააყენა ქვეყანა, სახელმწიფო ინსტიტუციების მოშლამ გაზარდა როგორც გარე ძალების თარეში, ასევე მოსახლეობაში გაიზარდა განუკითხაობა და ათასგვარი დანაშაულებები, რაც საუკუნის მიწურულს რელიეფურად გამოიკვეთა საქართველოს ისტორიაში.

1299 წელს აჯანყებული დავით VIII საწინააღმდეგოდ მონღოლები შეეცადნენ მეფის ძალების შესუსტებას და საპირისპიროდ მეფედ ჯერ მცირეწლოვანი ძმა გიორგი დაუსვეს, შემდეგ როცა მეორე ძმა ვახტანგიც გაამეფეს კიდევ უფრო დააკნინეს მის მმართველობის უფლებები. ვახტანგ III გარდაცვალების შემდეგ კი მეფედ დააამტკიცეს დავით VIII შვილი გიორგი მცირე (VI), რომელსაც ***,, საქმის მოურავად“*** მისივე ბიძა ***,,დიდი“ გიორგი დიმიტრის ძე დაუდგინეს“*** (ჟამთააღმწერელი, 1959:23). გიორგი მცირეს გარდაცვალების შემდეგ, 1318 წელს, მეფე გახდა გიორგი V (ლომინაძე, 1979:623). აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ ქართლში ფაქტობრივად სამი მეფე იჯდა. მაკალათიას მიხედვით მმართველობა სემდეგნარად იყო გადანაწილებული: თბილისში გიორგი მეფობდა, ჩრდილო მთიანეთში დავითი, ქართლის შუა მხარეში კი ვახტანგ მესამე (მაკალათია, 1944:17).

გიორგიმ V თავისი მმართველობის დასაწყისშივე მოიპოვა მონღოლთა კარზე დაწინაურებული ჩობანის პირადი ნდობა და მასთან მჭიდრო კავშირები გონივრულად გამოიყენა საქართველოს საკეთილდღეოდ. ეს კარგად გამოჩნდა 1317 წელს, როცა გარდაცვლა ოლჯაით ყაენი და მის ნაცვლად ახალი ყაენის

ტახტზე ასვლის ცერემონიალზე დასასწრებად გიორგი ურდოში გამოცხადდა. ქართველი ისტორიკოსის ცნობით სწორედ მაშინ ჩობანმა ,, ***,,მისცა ყოველნი საქართველო და ყოველი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი შვილნი ბექასანი“*** (ჟამთთაღმწერელი, 1959:324). მემატიანის ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ყაენის კარზე ქართველი მეფისათვის მთელი იმიერი და ამიერი საქართველოს გაერთიანების ნება მიუციათ. შესაბამისად მეფის მორჩილებაში ექცეოდა დავით მეფის შვილები და მთავარები. გაუქმდა სამცხის სამთავროს ხასობა და სამთავროზე სრული უფლება გადაეცა გიორგის. ამიერიდან მონღოლი მოხელეები ვეღარ ერევიან ხარკის აკრეფის საკითხებში, რადგანაც თავად აწესრიგებს ამ პროცესებს. ოლჯაითუ ყაენისა და ჩობანის მიერ აღებული კურსი, საქართველოს გაერთიანებისა ადასტურებს, რომ დაქსაქსული საქართველო თვით საილხანოსაც აღარ აწყობდა, ვინაიდან განკერძოების გზაზე მყოფი ქართული მხარეებიდან ხარკის აკრეფა, ან კიდევ ლაშქრის გამოყვანა ძნელი იყო (ბ. ლომინაძე, 1979, გვ. 624).

როგორც ვხედავთ გიორგი V ყაენმა დაამტკიცა მთელი ქართლის მეფედ სამცხითურთ. მართალია სამცხე აქამდე ცალკე სამთავროდ იწოდებოდა და იგი უშუალოდ ყაენს ემორჩილებოდა, მაგრამ ჩობან ნოინის დახმარებით გიორგი V სამცხე მიიღო (მაკალათია, 1944, გვ. 22).

ქართული სახლმწიფოს მმართველობის სისტემის მოშლა განაპირობა პირველ რიგში, საქართველოს შესვლამ მონღოლთა სახელმწიფოში გურჯისტანის ვილაეთის სახლწოდებით. შემდეგ მტერმა ქვეყანა დაყო 8 დუმნად. ჰერეთ-კახეთი, ქვემო ქართლი და მისი აღმოსავლეთი, სომხური თემები, ქართლი, ჯავახეთი, მესხეთი; დასავლეთ საქართველო გაყვეს 2 დუმნად. უმეფობის პერიოდში, ქართველებთნ ერთდ დუმნებს მართავდა მონღოლი მოხელეები, მაგრამ ისინი არ იცავდნენ საქართველოს ინტერსებს, ქვეყანა გამოიფიტა და მტრისათვის ადვილად დასარბევი გახდა.

სიტუაციას მოდევნო პერიოდში კიდევ უფრო ამძინებდა ორმეფობა. როდესაც ყაენმა მონღოლური კანონის შესაბამისად ტახტზე ორი მეფე, დავით ულუ და დავით ნარინი დასვეს, ამით კიდევ უფრო გამოუთხარეს ძირი ქვეყნის ერთიანობას, შედეგ თანდათან ხდებოდა მონღოლური წეს-ჩვეულეების შემოტანა და დამკვიდრება საქართველოში, როლის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს მრავალ ცოლიანობის გავრცელება. ქრიტიანული რელიგიისათვის ასეთი წესები მორალურად გაუმართლებელი და მიუღებელი იყო. ეს რა თქმა უნდა გადმოსული იყო მონღოლური კულტურიდან. როგორც ვიცით ქართველ მეფეებსაც, დავით ულუს, დავით ნარინსა და დემეტრე მეორეს იმ პერიოდში ჰყავდათ რამდენიმე ცოლი. ეს მანკიერი წესი შემდგომში ქმნიდა პრობლემებს შთამომავლებს შორის ტახტის ბრძოლისთვის და იწვევდა ქვეყნის დაქსაქსულობას.

მონღოლებმა ჩაატარეს საყოველთაო აღწერა, აღწერეს მიწები, საქონელი, ადამიანები, ყველაფერი რაზეც შესაძლებელი იყო გადასახდის დაწესება, არრიცხეს მოსახლების ის ნაწილი, რომელთაც შეეძლოთ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება, სულ დაადგინეს 40 სახეობის გადასახადი, რომელთაგან საქართველოში მოქმედებდა 14.

1. **მალი** - ეს არის სოფლის მეურნეობაზე დადებული გადასახადი, გადაიხდებოდა ფულით ან ნატურით. შეადგენდა წლიური შემოსავლის 60% ს.
2. **ყაფჩერი** - პირუტყვის გადასახდი. ყოველ ას სულზე 1 სული.
3. **ულუფა** - ეს იყო მონღოლი მოხელისთვის განკუთვნილი ძღვენი, ცხვარი და ორი დრაჰკანი, ცხენის მოვლა. ყოველივეს იხდიდა სოფელი.
4. **საიამე** - გზებზე მონღოლების მიერ იყო აგებული სადგომები მათ მოსასვენებლად, რომლთა აგება, მოვლა პატრონება, ევალებოდა მოსახლეობას.

5. **თაღარა** - მონღოლი ჯარისთვის კრებდნენ სოფელში საკვებს.
6. **ნემარე** - არალეგულარი გადასახადი იყო, რომელსაც მაშინ კრეფდნენ, როცა თანხა არ ჰყოფნიდა სახელმწიფოს.
7. **თარხი** - სახლმწიფო ავალდებულებადა, მოსახლეობას, დაბალ ფასში მიეყიდათ პროდუქტები.
8. **საელჩო** - მონღოლი მოხელისთვის განკუთვნილი პატივისცემისთვის განკუთვნილი გადასახადი.
9. **ბაჟი** - სავაჭრო გადასახადი, რომელსაც იხდიდინენ, გზებზე, ხიდებზე.
10. **ბეგარა** - ეს იყო იძულებითი სამუშაო გლხებზე დაწესებული სასახლეების გზების, ხიდების ასაგებად.

ხშირად ტარდებოდა აღწერები, ინფორმაციის განახლების მიზნით, რათა მომხადრიყო გადასახადების გაზრდა. გადასახადის სიმძიმის გამო იცლებოდა სოფლები, მოსახლეობა გარბოდა და მიუვალ ადგილებში იხიზნებოდა. გადასახადები ქართველებისათვის უცხო არ იყო, თუმცა მისი ხშირი ცვლილება გაზრდის მიზნით არ ხდებოდა, გლეხს მეურნეობის განვითარების საშუალებას აძლევდა. მონღოლები კი, პირიქით მეურნების გაფართოვების შემთხვევაში ზრდიდა მოსაკრებელს, რაც გლეხის შრომისუნარინობას ამცირებდა. ამასთან საგადასახადო სისტემაც არ იყო მოწესრიგებული, არ არსებობდა კონკრეტული ვადები, არ ხორციელდებოდა გლეხის მიერ გადახდილი გადასახადის ჩანიშვნა, რითაც სარგებლობდა მონღოლი მოხელები და წელიწადში, რომდენჯერმე კრეფდნენ ერთი და იგივე გადასახადს.

ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებდა ისიც, რომ ყველა ბრძოლის უნარინიანი ანუ შრომისუნარიანი მამაკაცი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო მონღოლთა სასარგებლოდ წარმოებულ ომებში. აღნიშნული გარემოება იძულებულს ხდიდა ადგილობრივ მოსახლეობას მოწყვეტილიყო სოფლის მეურნეობას. ქალები და ბავშვები კი ვერ ახერხებდნენ მიწების სათანადოდ დამუშავებას.

ერთ-ერთი მძიმე ვალდებულება იყო აგრეთვე სიბაზე დგომა. მტრის შესაჩერებლად საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე გათხრილ სანგრებში მუდმივად დგომა, უამრავ მუშახელს წყვეტდა სოფლის მეურნეობას, სიბაზე არსებული მძიმე პირობების გამო ადამინთა დიდი ნაწილი იღუპებოდა (ლომინაძე,1979:560).

მონღოლთა დაპყრობები გამოირჩეოდა არნახული სისასტიკით ისინი ძარცვავდნენ ქალაქებს, ანგრევდენენ ყველაფერს რაც მოხვდებოდათ გზად, კლავდნენ შეუბრალებად მოსახლეობას, მდგომარეობას ართულებდა ისიც რომ ისინი ეწეოდენენ მომთაბარე ცხოვრებას, სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგ ტერიტორიებს იყენებდენ ბანაკებად და საძოვრებად, რაც აუკაცრიელებდა, ბაღებს, ვენახებსა და ყანებს.

ასევე მოხშირდა მონღოლი მეხელეებისათვის ქართული მიწების საჩუქრად გადაცემა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, გლეხი ვეღარ წვდებოდა გადასახადების გადახდას, ამიტომაც მოხშირდა ***,,გარდახვეწა, ,,მიწის დაუკაცრიელება“,*** რაც ფეოდალსაც არ აწყობდა. მას სჭირდებოდა მუშახელი ეკონომიკური წინსვლისთვის და იგი ეძებდა ახალ გლეხს, ჩასასახლებლად. სოფლის მეურნეობა დღითი დღე უკან მიიწევდა, რამაც ეკონომიკური სიდუხჭირე გამოიწვია, სახელმწიფო ხაზინაში ფული აღარ შედიოდა. რამაც ფულის ფასი გაზარდა, მაგრამ მიწა იაფს ფასობდა. ეკლესია შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო და ახდენდა მიწების შესყიდვას რათა, მოღოლი მოხელეების ხელში არ ჩავარდნილიყო. ეკომიკური მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა სახლმწიფო საეკლესიო მიწების გამოსყიდვით, რომლებიც გლეხებს დაუბრუნა. მაგრამ მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ვერც ამან გამოიღო შედეგი.

სიტუაციას არანაკლებ ამძიმებდა ისიც, რო მეფე ხშირად გასული იყო საქართველოდან და მონღოლთა სასარგებლოდ სხვადასხვა ბრძოლებში ღებულობდა მონაწილეობას, ამ დროს კი მთავრები ცდილობდენ მეფის

ხელისუფლების სრული დეცენტრალიზება მოეხდინათ. ისინი თავიანთ სამფლობელოებში, მეფისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. რაც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის მოშლას იწევევდა, მომავლში კი მზარდ ამბიციას პოლიტიკური ცხოვრების გაფართოებისთვის კიდევ უფრო დამღუპველი შედეგები მოსდევდა.

ასეთი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყნის განვითარების სრული შეჩერება და უკუ სვლა, პოლიტიკური დაშლა, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მონღოლთა სახელმწიფოშიც სუფევდა, რაც კარგად გააცნობიერა მონღოლთა ყაენმა მაჰმუდ ყაზანმა. რომელმაც გაატარა რეფორმები ქვეყნის გადასარჩენად. რასაც მოწმობს მის მიერ წარმოთქმული სიტყვა მაგ: ის მიმართავდა მონღოლ მოხელეებს, უზომოდ არ გაძარცვოთ და უსამართლოდ არ მოეპყრათ ქვეშევრდომებს, თორემ თვითონვე იზარალებთ. გაღარიბებული გლეხი გადასახადებს, რომ ვერ გადაიხდისო. არ აწამოთ მათი ცოლები და შვილები, ისინიც ჩვენისთანა ადამიანები არიანო. ყაზანმა დაუშვა შეღავათები გადასახადებზე, დაადგინა ზუსტი დრო და დააკიდინა გამოსაჩენ ადგილებში რათა მოსახლეობას ცოდნოდა რა უნდა გადაეხადა. გლეხებს შეუწყო ხელი მიტოვებულ მიწებს დაბრუნებოდნენ, ასეთ ხალხს ნაკლებს ახდევინებდა. შემოიღო ფულის ერთიანი სისტემა და სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა ისლამი. აღადგინა დანგრეული დიდი ქალაქები, განაახლა დასავლეთთან ვაჭრობა. თუმცა დროებითი წინსვლა გამოიწვია ამ ყოველივემ მაგრამ, იგი მალევე მისი გარდაცვალების შემდეგ მოიშალა. თუმცა ქვეყანა იმდენად დიდ კრიზისში იყო მას ვეღარაფერი უშველიდა.

მონღლთა და მათი დაქვემდებარების ქვეშ მყოფ საქართველოში მძიმე მდგომარეობის შესახებ კარგად მოწმობს თვად ქვეყნის პირველი პირის ჩართულობა ამ საკითხებში, რომელიც ღიად ცდილობს არსებული პრობლემის მოგვარებას რეფორმების გატარების გზით. მონღოლთა არასწორმა სახელმწიფო მოწყობის პოლიტიკამ, სრულიად გაანადგურა ქვეყნის ადმინისტრციულ

ტერიტორიული მოწყობა, მოშალა სახლმწიფო სტურქურა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა. გამოიწვია მონღოლური კულტურის აღრევა და გავრცელება ქართულ ხალხში. რაც მოსახლეობას ადვილად სამართავსა და დასამორჩილებელს ხდიდა. მონღოლთა მმართველობამ მოიტანა ახალი თანამდებობები, გადასახადები, ქართული წმინდა ტრადიციების მოშლა და მონღოლურთან აღრევა, როგორიც იყო, მრავალ ცოლიანობა, ცოლის უმიზეზოდ მიტოვება, სხვისთვის წართმევა და სხვა. არეული მდგომარეობის გამო გახშირდა ადამიანთა მკვლელობა. ცენტრალურ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდა ფეოდალები და ცდილობდნენ დამოუკიდებელი ერთეულები ყოფილიყვნენ, სწორედ ამ პრობლმების აღმოსაფხვრელად გახდა საჭირო გიორგი მეფეს გაეტარებინა საჭირო რეფორმები, განეახლებინა ზველი კანონები და შეექმნა ახალი, ამით შეძლებდა მოშლილი სახლმწიფო სტუქტურის აღდგენასა და ნორმალურ ფუნქციონირებას.

XIV საუკუნის დამდეგისათვის უკიდურესად დეცენტრალიზებული, ეკონმიკურად დაკნინებული, პოლიტიკურად დაქსაქსული, მონღოლთა ექსპანსიისაგან ფიზიკრად დაზიანებული ქვეყანა გიორგი V მმართველობის პერიოდში იწყებს აღმავლობას. რასაც ხელი შეუწყო საერთაშრისო ვითარებამაც. დასუსტებული ილხანთა სახელმწიფოს რთული პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენა გიორგი V ბრწყინვალემ. რომელმაც საქართველოს გასათავისუფლებლად აჯანყების დაწყება არასწორ და სახიფათო ნაბიჯად მიიჩნია. მიუხედავად იმისა, რომ მონღოლები ძალიან დასუსტებულები იყნენ, ქართველთა აჯანყების შემთხვევაშიც მათ ადვილად შეეძლოთ საპასუხო დარტყმის მიყენება და საქართველოს მოესპო. ამიტომაც გიორგიმ დიპლომატიური გზა აირჩია, ისარგებლა პირადი გავლენით მონღოლების გამოყენებით აქტიურად შეუდგა ქვეყნის გაერთიანებას (ლომინაძე,1979:623).

საქართველოს ერთიანობის აღსადგენად, საჭირო იყო ურჩი და ორგული მთავრების ალაგმვა. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა ბუნებრივია არ იყო

მარტივი საქმე. ქვეყნის დაშლის პროცესს, მონღოლთა ბატონობის წყალობით, საკმაოდ ღრმად ქონდა ფესვები გადგმული. შეინიშნებოდა არსებითი ცვლილებებიც. ერისთავები და ერისთავთერისთავები თავიანთი სამმართველო ტერიტორიების ჩვეულებრივი გამგებელები კი არ იყვნენ, არამედ მისი პატრონი-სუვერენები (ლომინაძე,1979:625).

თუ აქ ამდე ქართველი მეფეები, მონღოლთა ყაენის შიშით ვერ ახერხებდნენ განკერძოების გზაზე მდგომი მთავრების შეცვლას ან დასჯას, ახლა კი გიორგის საყაენოსაგან სრული თანხმობა ქონდა დაემორჩილებინა მთავრობი. ბევრი მათგანი, სავარაუდოდ, ძალის გამოუყენებით დაიქვემდებარა, მაგრამ ურჩების გამოსწორების პროცესს მაინც სიფრთხილით ეკიდებოდა. გიორგიმ მათ წინააღმდეგ ბრძოლა მონღოლეთში შიდაპოლიტიკური დაპირისპირებების პერიოდში დაიწყო: ***,,მტრობა აღმოუჩნდათ და წახდნენ“,*** მაშინო, გვაუწყებს წყარო, ***,, რა დრო დაიცა გიორგიმ ჰერ-კახთა და სომხეთის ერისთავნი, რომლებიც ჩინგიზთ მიუდგენნ, კახეთს ცივზედ მოაწვივა ამოსწყვიტა“*** (ჟამთააღმწერელი, 1959:325). ცივის დარბაზობაზე ერისთავების ამოწყვეტა მეფის მიერ ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ზომა იყო ხელისუფლებას ჩამოცილებული მოხელეების წინააღმდეგ. მაგრამ ასეთი რადიკალური ზომების გატარება არ იყო საკმარისი მიზნის მისაღწევად. საჭირო იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ძალების აღდგენა. საამისოდ საქართველოს უნდა ჰქონოდა მყარი საშინაო და საგარეო მდგომარეობა (ლომინაძე,1979:626).

XIV ს 30-იანი წლებიდან საქართველოში მონღოლთა ბატონობა უკვე ფორმალრი ხასიათისაა, რაც 1327-1334 წლებში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოებითაც დასტურდება. ქართული კანონმდებლობისა და ცენტრალური აპარატის გაძლიერების მიზნით ჩატარებული ღონისძიებწბი ითვალისწინებდა მონღოლთა ბატონობით დამკვიდრებული წესების აღმოფხვრას. ასეთი საქმიანობა ვერ განხორციელდებოდა მტრის ფაქტიური ბატონობის პერიოდში (ბ. ლომინაძე, 1979, გვ. 627).

XIV ს 30-იან წლებში შექმნილმა საშინაო პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა მონღოლთა ბატონობის გადაგდება: 1327 წ აბუსაიდ ყაენმა მოაკვლევინა თავისი პირველი ემირი ჩობანი, მასთან ერთად ჩობანის ყველა ახლობელი გაჟლიტა. ჩობანის ხელისუფლის მოშლამ დააჩქარა საყაენოს დაშლა. დაიწყო შიდაარეულობა. ილხანთა ხელისფლება ძალზე შესუსტდა, რასაც მოყვა მათი პოლიტიკური გავლენების დასუსტება დაპყრობილ ქვეყნებში. ილხანთა სახელმწიფოს ამ სიტუაციით ისარგებლა საქართველოს ხელისუფლებამ და საბოლოოდ ძალის გამოყენებითა თუ დიპლომატიური მოლაპრაკებებით მოიშორეს ხარკის სახით ნაკისრი ვალდებულებები, განდევნეს დამპყრობლები და დაასრულეს თითქმის ასწლოვანი ბატონობა, 1357 წელს შეწყდა ილხანურ-მუსლიმანური ზედწერილობითა და იკონოგრაფიით მონეტის მოჭრა (ლომინაძე,1979:626-628).

მიუხედავად სახელმწიფოს მთლიანობის აღდგენისა, ქვეყნის შიგნით რჩებოდა არაერთი მოსაგვარებელი პრობლემა. მათ შორის მთის საკითხი. ხანგრძლივმა ძნელბედობამ ღრმა კვალი დააჩნია მთის ცხოვრებას, სადაც დარღვეული იყო სახელმწიფოებრივი წესრიგი; მეფობდა არაერთი უწესობანი, შფოთი, არეულობა. (ლომინაძე,1979;629).

ცენტრალრი ხელისუფლება შეეცადა მოეწესრიგებინა მთიელი ხალხის ცხოვრება, რისთვისაც ქსნისა და არაგვის ხეობებს კანონები დაუდო და სახელმწიფოებრივ წესრიგში ჩააყენა (ლომინაძე, 1979:630).

თავი II.გიორგი ბრწყინვალე

დემეტრე II თავდადებულისა და ნათელა ჯაყელის (მესამე ცოლი) ძე გიორგი V ბრწყინვალე დაიბადა 1286. (გ. 1346). მეფობდა 1299-1302 და 1318-1346 წწ. იზრდებოდა სამცხეში, პაპასთან, მანდატურთუხუცეს ბექა I ჯაყელთან.

ქართველ ისტორიოგრაფიაში დადებითადაა დახასიათებული ნათელას პიროვნება. მემატიანე გიორგის დაბადების შესახებ წერს: ***,,ხოლო ასულმან ბექასამან ნათელ უშვა ძე მხოლოდ გიორგი, რომელ უკანასკნელ ძეთა მისთა მეფე იქმნა, და განადიდა უმეტეს შემდგომთა მეფეთა. რამეთუ მარტო იყო ძე დედისა, მარტო ჰშვა დედამან. ვითარცა მარგალიტისთვის თქმულ არს, მარტოება უმჯობესისათვის, აგრეთვე გიორგი იპოვა ყოველთა კაცთა მის ჟამისათა, არა ოდენ ხელმწიფეთა. არამედ ყოველთა კაცთაო“*** (ბროსე, 1849:420) (კაკაბაძე, 1913:3).

მონღოლებმა განდგომა და ღალატი შესწამეს დემეტრე მეფეს და ის ყაზან ყაენის ბრძანებით ურდოში გაიწვიეს. დემეტრემ კარგად იცოდა, თუ რა განსაცდელი მოელოდა მას და მის ოჯახს, ამიტომაც ისინი ტაოში გახიზნა. სადაც ნათელამ თავისი მცირეწლოვანი შვილით გიორგით, თავი შეაფარა თავისი მამის ოჯახს. ათბაგი ბექა იყო მფარველი და მზრუნველი თავისი შილიშვილისა.

1289 წლის 12 მარტს მეფე დემეტრე სიკვდილით იქნა დასჯილი, ყაენმა კონფისკაცია უყო მეფის პირად ქონებას და მის მემკვიდრეებს სამეფო ტახტზე უფლებაც ჩამოართვა, ხოლო ეს უფლება უბოძა იმერეთს მეფის, დავით ნარინის შვილს, ვახტანგს. ამით ყაენი ორ მიზანს აღწევდა: ღალატისთვის დაესაჯა დემეტრეს მემკვიდრეები და ამავე დროს ვახტანგის გამეფების გზით შემოეერთებინა და დამოემორჩილებინა იმერეთის სამეფოც, რაც მისცემდა მას საშუალებას მეტი ხარაჯა მიეღო და თავისი ბატონობა გაევრცელებინა შავი ზღვის სანაპირომდე (კაკაბაძე, 1913:4).

1289 წელს არღუნმა ქართლის მეფედ დაამტკიცა ვახტანგი, დავით ნარინის-ძე, დემეტრეს მემკვიდრენი ამის გამო იძულებულნი იყვნენ დროებით აეღოთ ხელი და ყაენის შიშით შეხიზნულიყვნენ შორეულ მხარეში.

მცირეწლოვანი გიორგიც სამცხეში იმყოფებოდა და აქ ბექას ზედამხედველობით პოლიტიკურ აღზრდას იღებდა.

ამ პერიოდში საქართველოს სამთავროებს შორის ყველაზე ძლიერი იყო სამცხის საათბაგო, რომელსაც მართვადა გიორგის პაპა ათბაგი ბექა. ამ ბექა ჯაყელ-ციხსჯვარელმა მამის სამფლობელო მთლიანად შეინარჩუნა და ამგვარად საკმაოდ დიდი ტერიტორია დაიჭირა. სამცხის საათბაგო უშუალოდ ემორჩილებოდა მონღოლთა ყაენს ე.ი როგორც მონღოლები უწოდებდნენ, ხასინჯუდ გადაიქცა. საქართველოში კი ამას ულუსიანად ქცევას უწოდებდნენ. ასეთ პირს ან სამფლობელოს ვერავინ შეეხებოდა გარდა ყაენისა. ამის გამო საქართველოს მეფისათვის სამცხის ათბაგის პოლიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართლის მეფის დამტკიცება ხდებოდა ათბაგთან შეთანხმებით და მონღოლთა ყაენებიც ათბაგის ერთგულებას დიდად აფასებდნენ. მითუმეტეს, ათბაგი ეხმარებოდა მონღოლებს და მონაწილეობას იღებდა მონღოლების შორეულ ლაშქრობაში (კაკაბაძე,1913:6).

ამასთანავე ბექა იყო გულადი მეომარი და შესანიშნავი სარდალიც, როდესაც საბერძნეთიდან რუმის თურქმენები გადმოვიდნენ ვინმე აზატ-მოსეს მეთაურობით მონღოლების წინააღმდეგ, მაშინ საათბაგოს, როგორც საბერძნეთის მოსაზღვრეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თავდაცვისთვის. ათბაგმა ბექამ მაშინვე მოუწოდა ლაშქარს, გაემგზავრა ტაოსა და ბასიანს მტრის გასადევნად. ბრძოლის დაწყებამდის, მემატიანის ცნობით, ბექას მოლაშქრეებისათვის გამამხნევებელი და პატრიოტული სიტყვით მიუმართავს: ***,,ისმინეთ მთავარნო საქართველოსანო, ძმანოდა და თანამონათესავნო ჩემნო!.. დიდმან და სახელოვანმან სკიპტრისა და პორფირისა მქონებელთ შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით დასცა და დაამხვა ძლიერება თურქთ ნათესავისა და სამეფოსგან***

მისისა: მას ჟამითგან აქამომდე არღარა ჩვენით არიან თურქნი. და აწ ცოდვათა ჩვენთვის კვალად აღიძრნეს მძვინვარედ და მოაოხრეს ტაო, და ურიცხვი სული ტყვე ჰყვეს და მოსწყვიტეს პირით მახვილისითა... ვინაითგან მეფე შემეცირებულ არს მძლავრებისა თათართასა და კვლავად პირნი და თავნი საქართველოსანი განდგომილან, და არავინ არს წინააღმდგომ თურქთა: აწ ისმინეთ ჩემი ტომნო. შეუკრბეთ ყოველთა ძალით ჩვენითა და მივმართოთ თურქთა, და არა მივსცნეთ თავნი და შვილნი ჩვენნი... დავსდვათ თავი ჩვენი ჰსჯულისა შეუგინებლობისათვის და ძმათა ჩვენთათვის"- ო (ბროსე,1849:438; კაკაბაძე,1913:6).

ასეთი მიმართვით გამხნევებული ბექას ლაშქარი დაიძრა ბასიანისაკენ, სადაც დიდი სასტიკი ბრძოლის შემდეგ თურქმენები დამარცხდნენ და გაიქცენენ. ყაენმა ამ გამარჯვებისათვის ბექას კარი (ყარსი) და მისი მიდამო უბოძა.

ათბაგი ბექა ამასთანავე ცდილობდა დაეცვა საქართველოს პოლიტიკური ინტერესები ტრაპიზონის სამეფოში, რომლის ხელში ჩასაგდებად იბრძოდა ბიზანტიის კეისარი. ბექა მხარს უჭერდა და ამაგრებდა იქ არსებულ საქართველოს ორიენტაციის პოლიტიკურ ჯგუფს, რომ ქართველთა მოძმე ლაზების მოსახლეობა ბიზანტიისთვის არ დაეთმო (კაკაბაძე,1913:7).

ბექა ასევე ცნობილია, როგორც სჯულმდებელი. მან შეადგინა სამართლის წიგნი, რომელიც მიზნად ისახავდა მოეწესრიგებინა მონღოლთა ბატონობით აფორიაქებული საათბაგოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრება.

ბექას მოღვაწეობას ქართველი მემატიანე ამგვარად ახასიათებს : *,, კაცი წარმატებული ყოველსა შინა, სიკეთე-აღმატებული, საღმრთო საკაცობოთა საქმეთა და უმეტეს სამართლის მოქმედებათა"-ო* (ბროსე, 1849:446; კაკაბაძე, 1913:8).

ასეთი გამოცდილი და გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწის ხელში იზრდებოდა უფლისწული გიორგი, რომელსაც სათანადო პირობები ჰქონდა გასცნობოდა იმდროინდელ საქართველოს სავალალო მდგომარეობას,

შინაპოლიტიკურ ბრძოლებს, მონღოლთა ცბიერ და ძირგამომთხრელ პოლიტიკას. მას ამხნევებდა ძლიერება და გავლენა თვის პაპის ბექა ათბაგისა, რომლის დახმარებით ხელის შეწყობით შესაძლებელი იყო სამეფო ტახტის დაბრუნება და საქართველოს მთლიანობის აღდგენა (კაკაბაძე,1913:8).

გიორგის პოლიტიკურ აღზრდაში, უეჭველია, დიდი ღვაწლი მიუძღვის მის პაპას, სამციხის ათბგს და მანდატურთუხუცესს ბექას, რომლის ქალი ნათელა მეუღლედ ჰაყავდა მეფე დემეტრე თავდადებულს (კაკაბაძე,1913:3).

მოვუსმინოთ ჟამთააღმწერელს: რუმიდან მობრუნებული ჩობანი შემოდგომაზე ყაენთან გამოცხადდა: ***,,მივიდა ჩოაფან ყაენს წინაშე და მცირედღა დაჰყო, ვითარცა თუეცა ერთ, მოკუდა ოლჯათ სულთანი და დაუტევა ძე მცირე... სახელით მუსაით ...ხოლო ესმა რა გიორგი მეფესა სიკვდილი ყაენისა და მის წილ დადგინება მუსაითისა, წარვიდა ურდოსა მეფე გიორგი, განიხარა ჩოფან და შეიტკბო ვითარცა შვილი და მოსცა ყოველი საქართველო და ყოვლენი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი, შვილნი ბექასანი.. და იწყო მთიებმან აღმოჭურვებად...“*** (ჟამთააღმწერელი,1895:322) ჟამთააღმწერელის ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ მონღოლთ კარზე მხოლოდ ახლა დაამტკიცეს გიორგის ერთპიროვნული გამგებლობა, რეალურ და ერთადერთ ხელისუფლად სცნეს იგი და მთელი საქართველო მის სკიპტრას დაუმორჩილეს. განა ამას არ ნიშნავს ჟამთააღმწერლის ხატოვანი გამოთქმა - ***,,და იწყო მთიებმან აღმოჭურვებად“!*** (კიკნაძე,1989:57).

გიორგის V გამეფების თარიღთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. კიკნაძე აღნიშნავს, რომ თარიღი 1314 წ., რომელსაც თითქოს დაბის ეკლესიის წარწერის მიხედვით ვითვლით, სინამდვილეში იანგარიშება არა თუნდაც დაზიანებულ ძეგლზე დაყრდნობით, არამედ XI საუკუნის ერთადერთი არასპეციალისტი თვითმხილველის ჩანაწერის საფუძველზე, რომლის პირველი პირიც დაკარგულია. ამასთან, არ მოიპოვება არც ერთი სხვა საბუთი ან მკვლევარის ჩანაწერი, რომელიც დაადასტურებდა

მეღვინეთხუცისისშვილის დაკვირვების სისწორეს. პირიქით, ი. ბარტოლომეისა და დ. ბაქრაძის შრომათა გაცნობა საწინააღმდეგო აზრს ბადებს (კიკნაძე, 1989:51). მკვლევარი ასკვნის, რომ აბუ საიდი ტახტზე 1317 წელს ავიდა. გიორგი V კი 1318 წელს გამეფდა, ეს სხვაობა ადვილი ასახსნელია. ცხადია, რომ გიორგი V ურდოში გასამზავრებლად ერთი და ორი დღე კი რა დასჭირდებოდა, არამედ არანაკლებ რამდენიმე თვისა. ამასთან, გიორგიV ურდოში გამეფების ნებართვის მიღების შემდეგ თბილისში მობრუნდა და აქ საზეიმოდ ეკურთხა მეფედ. აგრეთვე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვახუშტის წყარო, გელათური გარიგების ქორონიკონების ავტორი, შესაძლოა წელიწადს საეკლესიო სტილით ე.ი. სექტემბრიდან იწყებს. 1317 წლის აპრილ-მაისიდან კი სექტემბრამდე სულ სამიოდე თვეა (კიკნაძე,1989:58).

თავი III.გიორგი მეფის საკანონმდებლო საქმიანობა

გაერთიანებული ფეოდალური საქართველო სახელმწიფო მმართველობის ფორმის მხრივ მონარქიულია, წყობილობის ფორმის მხრივ კი რთული სახელმწიფოა, რომელშიაც სხვადასხვა ტერიტორიები და ხვადსხვა ეთნოსის ხალხი შედის (მეტრეველი,2003:91).

სახელმწიფოს განაგებს მონარქი - მეფე. სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა - დარბაზი. ხოლო ხელისუფლების აღმასარულებელ ორგანოს წარმოადგენს სავაზირო (მეტრეველი, 2003:91). მეფის უფლებამოსილებაში შედიოდა: საგამგეო, სამხედრო, საერთაშორისო, საფინანსო, მართმსაჯულებისა და საკანონმდებლო ფუნქციები (მეტრეველი, 2003:92).

საქართველოს მეფეს ჰქონდა საკანონმდებლო ფუნქცია, მაგრამ იგი არ გულისხმობდა ერთპიროვნულად კანონის მიღების უფლებას, არამედ დარბაზის ერთა თანამშრომლობითა და განჩინებით. მეფე ზოგიერთ ბრძანებას, განაჩენსა და თუ განჩინებას, რომლებსაც კანონის ძალა ჰქონდა - ერთპიროვნულად ღებულობდა, ხოლო კანონს, ანუ სამრთლის წიგნს, მხოლოდ თვითონ კი არ ადგენდა მარტო თავისი სახელით, არამედ დარბაზისა და საკანონმდებლო კრების თანადგომით გამოსცემდა (მეტრეველი,2003:93).

ყოველივე ზემოთქმული სათავეს იღებს თამარის მეფობის პერიოდიდან, როდესაც ყუთლუ-არსლანი და მისი დასელები მოითხოვდნენ, რომ ისანში, სადაც სამეფო სასახლე და სალხობაც იმყოფებოდა, დაარსებულიყო ***,,კარავი''***- საკანონმდებლო ხელისუფლებით აღჭურვილი ორგანო. ყუთლუს დასის პროგრამით, ,,კარავს უნდა ჰქონოდა უზენაესი მართლმსაჯულებისა და უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა-გადაყენების უფლება. მეფე არ უნდა დასწრებოდა ***,,კარავის"*** სხდომებს და მას მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება რჩებოდა.

თამარმა რეალურად შეაფასა გაფიცულთა მოთხოვნები და იგი მიიჩნია თავისი მეფობის აღსასრულის დასაწყისად. ამის გამო მან ჯერ ყუთლუ-არსლანი

დააპატიმრა, ხოლო მის მომხრეებთან მოსალაპარაკებლად წარჩინებული ქალბატონები, ქართლის ერისთავთერისთავის რატის დედა ხუაშაქი ცოქილი და სამძივართა დედა კრავაი ჯაყელი გაგზავნა. მოლაპარაკება შეთანხმებით დასრულდა. გაფიცულებმა თამარს მისცეს ,,პირი ერთგულობისა“, თამრმა კი გაფიცულებს ფიცი - უვნებლობის პირობა დაუდო. შეთანხმების მიხედდვით ***,,კარავის“*** დაარსების მოთხოვნა უარყოფილ იქნა, თუმცა მეფე გარკვეულ დათმობებზე მაინც წავიდა. ამიერიდან დიდმნიშვნელოვან საკითხებს თამარი მხოლოდ დარბაზის წევრთა თანადგომით, ერთნებობით და თათბირებით წყვეტდა. მაშასადამე ეს წესი ჯერ კიდევ თამარის მეფობის ხანიდან მოდის (ლორთქიფანიძე, 1979:300).

დარბაზის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ანუ სახელმწიფო საბჭო, ანუ სამეფო კარი იყო (მეტრეველი, 2002:97).

დარბაზობა ორი წესით იმართებოდა: დიდი და მცირე წესით. დიდი წესით ანუ დიდი დარბაზობა - დარბაზის ღია სხდომა იყო, რომელსაც დარბაზის ნამდვილ წევრთა გარდა სხვა მოხელეებიც ესწრებოდნენ. დარბაზობა მცირე წესით - დარბაზის საქმიანი სხდომა იყო, რომელსაც მხოლოდ ნამდვილი წესით ესწრებოდენენ. მისი გადწყვეტილებებისა თუ მსჯელობის შესახებ საიდუმლოების დაცვა მკაცრად იყო დაცული. დარბაზის კომპეტენციაში შედიოდა: კანონმდებლობის მიღება, უზენაესი მართმსაჯულების განხორციელება, ომის გამოცხადებისა თუ ზავის დადების საკითხი, მაღალი თანამდებობის პირების არჩევა-დანიშვნის საკითხი, მეზობელი შორეული ქვეყნებიდან მოსულ სტუმართა თუ დესპან-მოციქულთა მიღების საკითხი. დარბაზობა დიდი დღესასწაულების, მეფის ხელდასმისა და გამარჯვებული ლაშქრის დასახვედრად (მეტრეველი, 2003:98).

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში ვეზირი ხელმძღვანელობდა ცენტრალური სახელმწიფოს მმართველობის ერთ-ერთ უწყებას (სამხედრო, საპოლიციო, საფინანსო-სამეურნეო და სხვა). იგი იყო პირველი პირი მეფის

შემდეგ. დანარჩენები იყოფოდნენ „სამთა ვაზირთა“ (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი) და „ორთა ვაზირთა“ (მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი) ჯგუფებად. პირველი ჯგუფი დიდი დარბაზობის, ვაზირობისა და პურობის დროს მეტი უპირატესობით სარგებლობდა, ვიდრე მეორე. ვეზირთა ინსტიტუტის არსებობა დამოწმებულია გიორგი V-ის სამართალში.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ვეზირი, ირანის საოკუპაციო ხელისუფლების მოხელეა ქართლის სამეფო კარზე.

სავაზიროს რღვევა პირველად ვაზირთა ფუნქცია-მოვალეობის აღრევით დაიწყო. ვაზირთა უფლებებს მაინცდამაინც მათი თანამდებობრივი პრეროგატივები კი აღარ განსაზღვრავდნენ, არამედ ის, თუ რამდენად ძლიერები იყვნენ ისინი, როგორც მემამულე მთავრები ან რა დიდი პირადი გავლენა ჰქონდათ მოპოვებული რაიმე გზით. ამიტომაც შესაძლებელი ხდებოდა, მაგ., ათაბაგ სადუნს, რომელიც “განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთა მთავართა” ან სხვას, ან სრულებით მესამე ხარისხის დაბალ მოხელეს, მაგრამ მეფისაგან “ერთგულებისათვის” პატივდებულს, მაგ., მესტუმრე ჯიქურს, ოფიციალურადაც კი მოეპოვებინათ მმართველობის მაღალი საჭეები. ვაზირთა ფუნქციის ქრობის უეჭველი მოწმობაა ის ფაქტიც, რომ ვაზირობის მქონე “მთავრები” “ვაზირობით” იშვიათად იხსენიებიან. ახლა, გიორგი ბრწყინვალის დროს, ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის ვითარებაში, ბუნებრივია, უმთავრესი ყურადღება ასეთი ინსტიტუტების აღდგენა-განმტკიცებას ექცეოდა. მართლაც, კარის გარიგება ამის დამადასტურებელი იმ მხრივაც არის, რომ იგი მთავარ ადგილს ვაზირების უფლება-მოვალეობათა ნორმირებას უთმობს. დაწესებული უფლება-მოვალეობანი ვაზირთა შემცირებული როლის აღდგენასა და გაზრდას ემსახურებოდა. ამ პერიოდისათვის სავაზირო თავისი რიცხობრივი შემადგენლობით ძველთან შედარებით სრულია იმ მხრივ, რომ მასში წარმოდგენილია ექვსივე ვაზირი, ახასიათებს გაზრდის ტენდენცია, დიდმოხელეთა თანამდებობრივი ფუნქციები

დახვეწილია, ხოლო ურთიერთთანამშრომლობისა და სუბორდინაციის საზღვრები ზუსტადაა დადგენილი (ლომინაძე,1979:637).

კარის გარიგებაში წარმოდგენილ ამ ძველ სისტემას მკვეთრად ატყვია განვლილი ძნელბედობის კვალი. ამას უმეტესად ის ინსტიტუტები ამჟღავნებენ (ვაზირები და სავაზირო), რომლებიც ვერ შეეგუენ ქვეყნის ხანგრძლივ დაქსაქსულობას და სახელმწიფო მართვის აპარატიდან ფაქტიურად ამოირიცხნენ. განკერძოების გზაზე დამდგარი ერისთავთ ერისთავისათვის ვაზირის სახელი თანდათან რეალურ შინაარსს გამოცლილი და ამდენად მხოლოდ გარეგნული სამკაული ხდებოდა. ზოგი ვაზირი სამეფო კარზე იშვიათად ან სულაც არ ცხადდებოდა.

ამ პერიოდში მთავარ ამოცანად დადგა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დარღვეული ნორმების აღდგენა. მონღოლთა ხანგრძლივმა ბატონობამ, მართალია, ვერ შეცვალა მმართველობის ქართული პოლიტიკური სისტემა, მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, დიდი ზიანი მიაყენა მას, ზოგი ინსტიტუტი პრაქტიკულად გაუქმდა კიდეც. თუ რა საშუალებითა და ღონისძიებებით შეუდგა საქართველოს მთავრობა დარღვეული წესრიგის აღდგენას, ამას თვალსაჩინოდ გადმოგვცემს ჩვენამდე მოღწეული ისეთი პირდაპირი დოკუმენტური წყარო, როგორიცაა ***"ხელმწიფის კარის გარიგება"***. ძეგლი წარმოადგენს ცენტრალური სამმართველო დაწესებულებების დანიშნულებათა და მოხელეთა უფლება-მოვალეობების აღნუსხვა-განმარტებას. იგი განკუთვნილი იყო მოხელეთათვის სავალდებულო სახელმძღვანელოდ მართვა-გამგეობის პრაქტიკულ საქმიანობაში. თვითონ ავტორი ვინაობით კარის ერთ-ერთი მოხელეა და მეფის პოლიტიკის ენერგიული დამცველი.

"კარის გარიგებაში" შეტანილი მართვა-გამგეობის წესები ავტორის პერიოდს ასახავს. ზოგიერთი წესი გადმოღებულია შესაბამისი წერილობითი წყაროებიდან. მათ შორის იმ კარის გარიგებიდან, რომლებიც ზოგი მის დროსვე და ზოგიც ძველად (მაგ., თამარის დროს და უფრო ადრეც) ყოფილა დაწერილი. ასეთ კარის

გარიგებებს ავტორი ადგილ-ადგილ ასახელებს კიდეც: ***"დაუწერიათ"***, ***"ზოგთა ვითმე ასრე დაუწერია"*** ან ***"სოფრომისძე იტყვისო"*** (ჯავახიშვილი,1920:3; ლომინაძე,1979:636) და სხვ. კარის გარიგების ამგვარი შედგენილობა მიუთითებს სახელმწიფოს გეგმაზომიერ ღონისძიებებზე აღედგინათ მართვა-გამგეობის ძველი სისტემის პრინციპები, და, რაც მთავარია, ზოგი მოქმედი წესი ან შეცვლილიყო, დასაბუთებულიყო, ანდა ახლად ნორმირებულიყო. კარის გარიგებაში წარმოდგენილი მართვა-გამგეობის სისტემა სრულყოფილია მაღალი ფეოდალური წყობილების შესაფერისად. მეფესთან -***"ხელმწიფის კარზე"*** - ***მოქმედებს "დარბაზი"*** და ვაზირთა საბჭო - ***"სავაზირო"***, დადგენილია დარბაზობისა და ვაზირობის წესები, საზეიმო ***"დარბაზობა"***-***"პურობის"*** ცერემონიალი, უცხოელთა მიღების ეტიკეტი და სხვ.; მეფე გამოყვანილია ერთმმართველად, რომლის ბრძანებას ემორჩილება ყველა და ყველაფერი; სახელმწიფოს ერთმმარველობა ადგილებზე წარმოდგენილია საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების - ***"ერისთავების"*** სახით, ხოლო საეკლესიო მმართველობა ***"ეპისკოპოსების"*** სახით ორი კათალიკოსით სათავეში (დასავლეთ საქართველოს - ***"აფხაზთა კათალიკოსი"*** და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი - ***"ქართლის კათალიკოსი"***). მთლიანად სახელმწიფო დაქვემდებარებულია დარგობრივ-საუწყებო ცენტრალური მოხელეების გამგებლობას: არის სულ ექვსი ასეთი მოხელე-ვაზირი, მოქმედებენ სხვა არავაზირი ცენტრალური მოხელენიც. კარის გარიგებაში დაწვრილებითაა აღნუსხული ამ დიდმოხელე-ვაზირთა უფლება-მოვალეობანი და მათი ხელქვეითი დაწესებულებანი. ცალკეა გამოყოფილი უმაღლესი განათლების დარგი, რომელიც არცერთ უწყებას არ ექვემდებარება: გელათის უმაღლეს სკოლას (აკადემიას) მოძღვართ-მოძღვრის მეთაურობით მინიჭებული აქვს ავტონომია.

ბრწყინვალე მეფემ საერთო სჯული დაუდგინა მთელს თავის სამეფოს, რომელსაც მის დროს დიდი ადგილი ეჭირა, შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე (ურბნელისა,1989:2).

თავი IV.,,ძეგლის დადება“ მეფეთ-მეფის გიორგის მიერ

1.,,ძეგლის დადებაში“ აღმნიშვნელი ტერმინების განმარტებანი

1. **,,ერისთვი“**- ათაბაგის მორჩილი მოხელე, საკუთრი საერისთავოს უფოსი მოხელე. მოურავი - ციხის, სოფლის ან ქალაქის გამგებელი, რომელსაც ათაბაგი ნიშნავდა (მეტრეველი, 2003:123).
2. **,,გამგებელი''** - უნდა ჩაითვალოს ერისთავის მარჯვენა ხელად (ურბნელისა,1980:4).
3. **,, მოურავი“** - იგი დარბაზს არაფერს ,,ჰკადრებს'', მაგრამ იმის ბრძანებას – კი ასრულებს, – ,,მოურავთა პირითა მამული ებოძოსო (ურბნელისა,1980:4). ჯერ ერთი ისა, რომ მოურავი ხანდახან ჯარის კაცად ითვლებოდა და ციხე–სიმაგრენი ებარა (,,ციხეთა მოურავი''). ზოგჯერ ხევის–თაობაცა ჰქონდა, მაგ. სუფელ ატენში–,,ხევის თაობა მოურავისა არის''. ხევის თავის უმთავრეს მოვალეობას ბჭობა და სამართალი შეადგენდა, და რადგანაც ასე იყო, თვით მოურავსაც სამართალი ეკითხოდა (ურბნელისა,1980:5).
4. **,,ხევის-თავის“** - პირდაპირი მოვალეობა მსაჯულობა იყო (ურბნელისა,1980:5).
5. **,,ხევის–ბერი“ -** ძეგლის სიტყვით, თითონ ხომ ჯარისკაცია, მაგრამ მთელის ხევის ლაშქრის უფროსობა ნაბოძები აქვს დარბაზით, – ,,ხევის–ბერს“ დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებიათო (ურბნელისა,1980:6).
6. **,,ციხის–თავის“** - მოვალეობა მარტო ის როდი იყო, რომ თვალყური დაეჭირა და ციხე შეენახა, არა,–ციხის თავს უნდა გაემაგრა და მტრისაგან დაეცვა ციხის მიდამო, მთლად გარეშემო ადგილი. თუმცა ასეა, მაგრამ ციხის–თავი ციხის პატრონი როდია, იგი მხოლოდ ციხის

უფროსია, რომელსაც მეციხოვნე ჯარი ემორჩილებოდა. იგი ერისთავის ქვეშევრდომია (ურბნელისა,1980:7).

7. **,,ვეზირობა“** - მხოლოდ მაჰმადის სწავლამ შეჰქმნა და დაჰბადა, მაგრამ საქართველოშიაც ამ ხელის უფლობას ისეთივე ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც მაჰმადიანთა სახელმწიფოში. იქ ვეზირი ხელმწიფის შემდეგ პირველი კაცია, იმის თანაშემწე და მარჯვენა ხელია. მაჰმადიანთ სახელმწიფო მოძღვრებამ ორ გვარი ვეზირობა დააწესა: არის ვეზირი, რომელიც სრული და თითქმის დამოუკიდებელი ბატონია და თავის ნებაზედ განაგებს ყველა სახელმწიფო საქმეს, არის ისეთი ვეზირიც, რომელიც ხალიფის ნებასა და ბრძანებას ემორჩილება. (ურბნელისა,1890:7).
8. **,,დარბაზი“** - ერთის სიტყვით, ამ დაწესებულებას ყოველ გვარი საქმე ებარა, ყველა უწყება და თითოეული ადგილობრივი გამგეობა აქ იყო თავმოყრილი. დარბაზის წევრებად იყვნენ მეფის კარის მოხელენი, თავჯდომარედ თვით მეფე ბრძანდებოდა და, რასაკვირველია, მისი ნება და უფლება ყველაზედ მაღლა იდგა (ურბნელისა,1980:8).
9. **ვინ იყო ჰაეროვანი? –** ძეგლის დება პირდაპირ არ განმარტებს ამ საგანს, მხოლოდ მცირე ცნობას გვაძლევს, რომ ჰაეროვანი წარჩინებულია და ,,სიკეთით'' შემკული თავის სოფელში, თემში. ჰაეროვანის თვისების საცოდნელად საჭიროა არ დავივიწყოთ, რომ ჩვენი ძველი სამართალი თვით გლეხობაშიაც პირადს ღირსებას პატივსა სცემდა, ,,სიკეთით'' შემკულს გლეხს სხვა გლეხებზედ მაღლა აყენებდა, თუმცა–კი საზოგადოდ ყველა გლეხი ერთს წოდებას შეადგენდა. აღბუღას სამართალი სისხლის დაურვების დროს ყურადღებას აქცევს გლეხის ,,სიკეთესა'': უბრალო გლეხის სისხლი ღირდა ოთხასი თეთრი, ხოლო ისეთის გლეხისა, რომელსაც ,,პატრონი იცნობდა სიკეთესა ზედა''–ათასი თეთრი (ურბნელისა,1980:17).

10.**,,სოფლიონი“** - უბრალო კაცი, მოკლებული იყო არზანგსა. ერთის სიტყვით, არზანგობა წოდებრივსა და პიროვნულს ღირსებაზეა დამოკიდებული და სისხლთან შეფარდებულია (ურბნელისა,1980:18).

11.**,,გლეხი“** - ძეგლის დება სხვა განსხვავებასაც ჰპოვებს გლეხთა შორის. მთიულებში ეხლაც განთქმულია სალოცავი ლომისის წმინდა გიორგისა, რომელიც თვით გიორგი ბრწყინვალემ ილოცა. მთელი მთა დიდის სასოებითა და მოწიწებით შევედრის ამ წმინდა და საღმთო სადგურს. ძველ დროში ლომისის ეკლესიას შეწირული ყმები ჰყავდა და რადგანაც იგი ეკლესია დიდად პატივცემული იყო, ამიტომ მისი ყმაც თავისის სისხლითა და ღირსებით სხვა მკვიდრთაგან განირჩეოდა. ასე გასინჯეთ, ლომისის გლეხი თვით ჰაეროვანზედაც მაღლა იდგა და სისხლში ათას–ხუთასი თეთრი ეურვებოდა, ე.ი სამასის თეთრით მეტი (ურბნელისა,1980:19).

2,,ძეგლის დადების“ აუცილებლობა და მოქმედების არეალი

გიორგი V ბრწყინვალის ***,,ძეგლის დება“*** შედგენილია არა მთელი სამეფოსათვის, არამედ, როგორც თვით ამ სასამართლო წიგნშია ნათქვამი, მთიულთათვის. ამ კანონებით უნდა ეხელმძღვანელათ მხოლოდ ***,,ჯვართაყელს აქეთ, ხადა-ცხაოტს, ზანდუკის ხევის კიბეთ ქვეშ და მენესოს ზემოთ“***. აქედან გამომდინარე ***,,ძეგლის დადებას“*** ადგილობრივი საკანონმდებლო დატვირთვა ჰქონია ტექსტი შეტანილია, როგორც ვახტანგის კოდიკონში, ასევე გვხვდება XVIII ს. ხელნაწერშიც, რომელიც აღმოაჩინა ე. თაყაიშვილმა (ჯავახიშვილი, 1928:71).

ი.ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ,,ძეგლის დადება“ დაახლოებით 1325-1338 წლებში უნდა შედგენილიყო (ჯავახიშვილი,1928:73).

,,ძეგლის დების“ მოქმედების არეალი ვიწრო და მცირე მონაკვეთს მოიცავდა, ეს იყო ქსნისა და არაგვის რამდენიმე ხეობა (ურბნელისა, 1980:2).

შესავალ ნაწილში ძირითადად აღწერილია ის გზა, რომელიც მეფეს მხლებლებთან ერთად გაუვლიათ. წყაროში მოცემული ამ იმფორმაციით ვეცნობით, კონკრეტულად მთის რომელ სოფლებსა და თემებს შეეხო შედგენილი კანონი. ძეგლის მიხედვით თბილისიდან გამგზავრებული მეფე მთის გზას, ჟინვანის სამეფო სასახლიდან არაგვით შედგომია. შემდეგ შეჩერებულა ხადა-ცხაოტში, სადაც ადგილობრივი თავკაცებისაგან მოუსმენია ***,,მათნი საქმენი“.*** მეფე დარიალამდე მისულა. აქაც საგულდაგულოდ გასცნობია მათ ყოფას; ***,,დარიალით მობრუნებულთა...“*** წმ. გიორგის ხატი მოულოცავთ ლომისიში. აქედან ***,,ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხევიო“,*** სადაც გამოვიკვლიეთო ***,,მუნებური სასაქმო“,*** ბოლოს მუხრანის საზამთრო სასახლეში გამოუვლიათ და თბილისში დაბრუნებულან (ლომინაძე,1979:632).

აქედან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ მეფე საკანონმდებლო საკითხების, სასამართლო საქმეების შესასწავლად დარიალამდე მიდის, ე. ი. ჯუართა ყელზე უფრო ჩრდილოეთით ყოფილა. იქ, სადაც კანონის სამოქმედო ასპარეზის საზღვრებია აღნიშნული, აღარაფერია დარიალზე ნათქვამი, მაგრამ უეჭველია დარიალი ამ ასპარეზის ჩრდილოეთის საზღვრად უნდა ყოფილიყო და მხოლოდ გადამწერთაგან უნდა იყოს ეს ცნობა გამოტოვებული (ჯავახიშვილი,1928:75).

ამგვარად, კანონის მოქმედების არედ უნდა ჩავთვალოთ: ხადა-ცხაოტი და შემდგომი ტერიტორია დარიალმდე. ლომისის წმ. გიორგის ეკლესია მისი საყმო-საგლეხო ტერიტორიით და ცხრაზმისხევი, რაც შეადგენდა არაგვისა და ქსნის, ხეობათა მოსახლეობას. ამ ფარგლების სამხრეთის საზღვრად უნდა მივიღოთ სოფ. მენესო, ხოლო აღმოსავლეთისა ზანდუკის ხევი. ხსენებულ დასკვნას მხარს უჭერდნენ ძეგლში მოცემული სხვა ისტორიული რეალიებიც (ლომინაძე, 1979:632).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეფეს ჯერ თვით ხალხის მდგომარეობა შეუსწავლია და საამისოდ ***,,წარვედით ტახტით ჩუენით, ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა ჟინვანს და მუნით მივედით ხადა-ცხაოტს“.*** აქ მეფეს გამოუკითხავს საქმის ვითარება და ქვეყნის გასაჭირი ***მოუსმენია: ,,მოვახსენით ყოველნი მუნეზურნი ხევისბერნი და ჰეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენი“.*** შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს თავის მოგზაურობა განუგრძია და ხადა-ცხაოტიდან დაძრული ***,,მივედით დარიელამდის“***-აო აქაც სასამართლო მდგომარეობის გამორკვევის შემდგომ მეფეს ისევ სამხრეთისკენ უბრუნია პირი. ***,,დარიელით მობრუნებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხევი და მოვიკვლიეთ მუნეზურნი სასაქმე აქაც რომ ყველაფერი გამოუკითხავს, ჯერ მუხრანში დაბრუნებულა, ხოლო შემდეგ ტფილისში მოსულა“*** (ჯავახიშვილი,1928:72).

საქმის ვითარების გამორკვევის შემდგომ საკანონმდებლო კრებას ამ ხეობის მცხოვრებთა ეგოდენ სამწუხარო მდგომარეობის მიზეზების შესახებ საზოგადო

მსჯელობა ჰქონია. ერთ-ერთ მიზეზად კრებას ***„განაჩენ-დაუდებლობა“*** დაუსახელებია, რაკი საქართველოს წინანდელ მეფეთაგან ამ მთიულთ ***„არ გასჩენოდა ძეგლითა განაჩენითა დადებითა“*** და არავითარი კანონით დაწესებული სასჯელი არ ეკისრებოდა დამნაშავე და ბოროტმოქმედ პირებს. მეორე მიზეზად კრებამ დაასახელა იმ სასჯელის სიმსუბუქე, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულებით, ტრადიციებით ყოფილა სხვადასხვა დანაშაულისათვის დაწესებული: ***„სისხლისა მსუბუქობისათვის ადვილად ჩნდა ჩუენდა“*** ყველა იმ ბოროტმოქმედების ჩადენა, რომელიც ამ კუთხეში გავრცელებული იყო. მაშასადამე დარბაისელთა და მმართველი წრეების აზრით სასჯელის ***„მსუბუქობა“*** შედარებით აადვილებდა ბოროტმოქმედების ჩადენას, რადგან სასჯელის შიში მათ აჩერებდა და არ აკავებდა, როგორც შეაკავებდა დამნაშავეთათვის რომ მკაცრი სასჯელი ყოფილიყო (ჯავახიშვილი, 1928:73).

ეს სახელმწიფო დარბაზის ჩვეულებრივი სხდომა - კი არ ყოფილა, არამედ საკანონდებლო. სწორედ ამიტომ სხვა სხდომებისაგან განსხვავებით დარბაზში მაღალი წოდებისა და თანამდებობების წარმომადგენლების გარდა, შედარებით დაბალი და ხელქვეითი მოხელეებიც ყოფილან მიწვეულნი. სხდომას ესწრებოდნენ ხევისთავნი, ხევისბერნი და ჰეროვანი. მკვლევართა მოსაზრებით ძნელი საფიქრებელია, რომ მთელი საქართველოს ყველა ამგვარი მოხელეებისათვის თავი მოეყარათ, ამიტომ უეჭველია ხევისთავ-ხევისბერ-ჰეროვანნი მხოლოდ არაგვის ხეობიდან უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც ზედმიწევნით იცოდნენ მთიულთა ყოფა-ცხოვრება. როგორც ჩანს დარბაზის სხდომები თავად მეფის თავმჯდომარეობით ტარდებოდა (ჯავახიშვილი,1928:72).

მაგრამ რაკი კრების ეს ***„განაჩენი“*** ძეგლი გიორგი ბრწყინვალემ და დარბაზმა სასამართლო წიგნად დაუმტკიცა და მთიულებს დაუდვა, ამიტომაც აქვს მეფე გიორგი ბრწყინვალეს ნათქვამი: ***,,დ ა ვ დ ე ვ ი თ ძ ე გ ლ ი ე ს ე გ ა ნ ა ჩ ე ნ ი“*** (ჯავახიშვილი, 1928:73)

XIII ს-ის ბოლოსა და XIV ს-ის დასაწყისში არაგვისა და ქსნის მთიელთა დამოკიდებულება ხელისფლებასთან მნიშვნელოვნად გამწვავებულა. მთიელები არ ერიდებოდნენ მეფის მოხელეებს - გამგებლებს, ერისთავებს, ხევისბერებს - და კლავდნენ კიდეც. თვლიდნენ, რომ სწორედ ისინი იყვნენ პოლიტიკური ხელისუფლების დამნერგავები რეგიონში და ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი მძიმე ექსპლოატაციის შემომტანნი მთაში. მოსახლეობა გამოდიოდა კოლექტიურად: ***,,მთელი სოფლობით“,*** მთელი ***,,ხევისა“*** და ქვეყნის ერთობლივი მონაწილეობით (კაკაბაძე,1913:9), მთიელები მეფის ხელისუფლებას სხვა საშუალებებითაც ეურჩებოდნენ. მაგ; თავს არიდებდნენ სალაშქრო ვალდებულებებს და აქაც უარს ამბობდა არა მხოლოდ ერთეული პიროვნება. არამედ ერთობლივი ***,,სოფელი“ ,,ხევი“*** და ***,, ქვეყანა“*** (კაკაბაძე, 1913:5; ლომინაძე, 1913:630).

მთაში უჩვეულოდ გავრცელებული იყო მეკობრეობა, ქურდობა, პირუტყვის პარვა, ნივთების გატაცება და სხვა. ***,,მეკობრენი“*** სოფლიდან სოფლად დიდი რაზმებით დაძრწოდნენ, რომელთაც მრავალრიცხოვანი ***,,ასაბია“*** ზურგს უმაგრებდა. სამეკობროდ ხშირად ამდგარი იყო მთლიანად ***,,ქვეყნა“.*** დარღვეული აღმოჩნდა საოჯახო ზნეობის ნორმებიც: ხშირი გახდა უმიზეზოდ ***,,ცოლის დაგდება“,*** სხვისთვის ცოლის წართმევა და სხვა (კაკაბაძე,1913:13; ლომინაძე, 1979:631).

ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებამ, ბუნებრივია, მთის მოსახლეობაში შეარყია ეკლესიის გავლენა, ხოლო სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენა მთაში დასრულებულად ვერ ჩაითვლებოდა თუ ეკლესიის საკითხიც მოგვარებული არ იქნებოდა. მთაში ძველებურად ვეღარ ასრულებდნენ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს. ხალხური პრიმიტიული რელიგიების დიდი ზეგავლენის გამო ***,,რჯულის შეცდომა“*** მთიელებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა... რაც სახელმწიფოს ინტერესებს მთაში ვნებდა (ლომინაძე, 1979:634).

კანონმდებლები შეუდნენ იმ მიზეზების გამორკვევას, რაც, მათი აზრით, აადვილებდა მთაში მუდმივ აღრეობასა და დანაშაულის ჩადენას. ,,ძეგლის“ შესავალში ასეთად დასახეებულია ორი გარემოება: პირველი - მთაში სამეფო სამართლის უქონლობა და მეორე-სასჯელის სიმსიბუქე (ლომინაძე,1979:632).

მხოლოდ საჭიროება და ცხოვრების მოთხოვნილება ჰბადებს სჯულმდებლობას. ეს საზოგადო მოვლენაა. საქართველოშიაც სწორედ ასე იყო. ამას ჩვენი სჯულ–მდებლობის ისტორია ამტკიცებს. მეფე გიორგი–ბრწყინვალემაც საჭიროების გამო დასდო თავისი ძეგლი: ***,, სამართალი აღარ იყო –და... აღარ იქნებოდა განაჩენ დაუდებლობაო”***, ასე ბრძანებს ძეგლის მდებელი. წინასიტყვაობაში ვრცლად მოხსენებულია, მთაში რა უწესოება და უსამართლობაც არსებობდა და ნიშნობლივ რისთვის იყო საჭირო ***,,განაჩენის დებულობა”*** (ურბნელისა, 1890:2).

გიორგი ბრწყინვალე ამტკიცებდა რომ ქართველი მეფეები თითქოს იმიტომ არ უდებდნენ ძეგლს მთიულებს, რომ მათ ეპრიანებოდათ მთიულებს შიგან აღრევით ყოფა, თუმცა უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვათ სახლმწიფო მთიული ხალხის ტრადიციებსა და საქმეში არ ერეოდნენ (ჯავახიშვილი, 1928:71).

საქართველოს არ შეეძლო ბარში მოქმედი სამართალი უშუალოდ შემოეღო მთაში. ამას აბრკოლებდა მთის საზოგადოებრივი ყოფის გარკვეულად განსხვავებული დონე. მართალა, დიდი ხანი იყო, რაც ბატონყმური ურთიერთობანი მთაშიც იკაფავდა გზას, მაგრამ მთლიანად იგი ფეოდალური განვითარების ადრეულ საფეხურზე იმყოფებოდა. ამასთან, აქ პრიმიტიულ-თემურ წეს-ჩვეულებათა ნაშთებიც ცალკე ცოცხლობდნენ. ყოველივე ამ თავისუბრებამ განაპირობა მთაში ცალკე კანონების შემოღება. მაგრამ დიდებულმა ***,,განაჩენმა“***, რა თქმა უნდა, საკმაოდ შეკვეცა და უკუაგდო ჩამორჩენილი წესები, ხოლო მომხდარი ცვლილებების შესაბამისად გზა გაუხსნა ბარისათვის დამახასიათებელ განვითარებულ სამათლებრივ ნორმებს. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხტა სასჯელთა ფორმებში. მთავარ ზომად

გახშირებული მკვლელობების გამო დააწესა სასჯელის მკაცრი ზომა. ეს უკანასკენნელი კანონმდებლობამ მკაცრად განსაზღვრა დაზარალებულის სამსახურეობრივი და სოციალური მდგომარეობის მიხედვით (ლომინაძე, 1979:633).

,,ძეგლის დადებამ“ სისხლის ანაზღაურება შემოიღო როგორც ფულით, ისე უძრავი ქონებით, ამასთან ძალაში დატოვა ფართოდ გავრცელებული სასჯელის ადგილობრივი ფორმაც დამნაშავის ***,,გაძევება“*** (ლომინაძე,1979:633).

ამგვარად საქართელოში მეფე გიორგი ბრწყინვალემდე მხოლოდ მთიულებს არა ჰქონიათ სასამართლო წიგნი, დანარჩენ სამეფოში მაშასადამე გიორგის დროსაც მოქმედებდა განსვენებულ ***,,ღვთის გვირგინოსანთა და სანატრელ მეფეთაგან ძეგლითა, განაჩენითა და დაბითა“*** განჩენილი სასამართლო წიგნები. ხოლო რაკი მთიულები გიორგის დრომდე უკანონოდ ყოფილან, ამიტომ მეფეს ეს ნაკლი შეუვსია და მხოლოდ მათთვის შეუდგენია ძეგლი, დანარჩენი სამეფოსათვის გიორგი V, რგორც ჩანს, წინანდელი და მოქმედი კანონები საკმარისად მიაჩნდა და რასაკვირველია არც ახალი სასამართლო წიგნის შედგენას დაიწყებდა (ჯავახიშვილი, 1928:71).

ძეგლის დების გამგეობის ღირსებაც იმაშია, რომ მთიულის თვით–მმართველობას და სათემო თავისუფლებას არა მოაკლო რა, მხოლოდ თემი და სახელმწიფო დააკავშირა, ერთმანეთს დაუმორჩილა (ურბნელისა,1980:3).

3. ,,ძეგლის დადება“

ძეგლის დება წარმოადგენს სამოქალაქო სამართალს, ,,სოფლიო“ კანონია, რომლითაც გიორგი ბრწყინვალემ ურჩი მთიულეთი ,,დაუპყრო ტახტსა და სკიპტრასა".

ძეგლის დება განმარტავს მაღალი სახელმწიფო მოხელეების ***,,სისხლის დენას''*** და სასჯელს მათ წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის. ***,,სისხლის დენის''*** ძირითადი თვისება ისაა, რომ თითოეულ მოხელეს სისხლი ***,,გვარსა ზედა ზდის***“. ეს ფორმულა ***,,გვარსა ზედა''*** თავიდან ბოლომდე დაცულია და საყოველთაოდ აღიარებული, ასე რომ რაც დიდია და პატივდებული გვარი, მით უფრო ბევრი ***,,სისხლი სდის''***, ე.ი უფრო ბევრი გადასახადი ერგება. აქ ძეგლის დება მხოლოდ საზოგადო კანონს მისდევს; ყველა ერის უძველესი სისხლის სამართალი დამნაშავეს სისხლს ახდევინებს დაზარალებულის ***,,გვარსა ზედა''***. როცა რომელიმე ერის ცხოვრება ჯერ ისევ განუვითარებელია და საგვარეულო მოწყობილობას არ გასცილებია თვით სისხლის საქმეც მხოლოდ ***,,გვარსა ზედა''*** სწარმოებს. ასეთი წესი არ იყო მარტო მთიულეთში, მსგავსი წესები მოქმედებდა ჩვენს მეზობელ ხალხებშიც, სისხლი ***,,გვარსა ზედა''*** სდიოდათ. მაგრამ ძეგლის დება არ სჯერდება საზოგადო ფორმულას: ***,,გვარსა ზედა''***. რაკი დააარსეს რთული ადმინისტრაციული მმართველობა, პოლიტიკური საზრისი თხოულობდა თითოეულ მმართველობის წევრს, სახელმწიფო მოხელეს განსაკუთრებული პატივი სდებოდა (ურბნელისა, 1890:8).

აქედან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ რაც უფრო მაღალი წოდება აქვს და სამოხელეო თნამდებობა უკავია პირს, მით უფრო მეტად პავისაცემი გახლავთ; მით უფრო მძიმე და დიდი იყო მის მიმართ ჩადენილი დანაშაული, შესაბამისად დანაშაულის საზღაურიც მაღალია.

როგორც ჩანს, სამართლის წარმოება მოსაქმე კაცია და საქონლის პატრონის თაოსნობაზე იყო დამოკიდებული. თაოსნობა შეადგენდა სამართლის დასაწყისს და დასასრულს. ერისთავი, გამგებელი და ხევის ბერნი მხოლოდ ,,სთხოვდნენ'' მოპასუხეს, სხვა ძალა ხელთ არ ეპყრათ, და ეს გარემოება ცხადად

ამტკიცებს, რომ ძველად სამართალს ქმნიდა მარტო კერძო კაცის ენერგია. ეხლაც ასეა ზოგიერთ ადგილას მთაში (ურბნელისა, 1890:32).

კავკასიის მთიელების სისხლის სამართლის საფუძველს შეადგენს ძეგლის დებაც, როგორც ძველი სჯულ-მდებლობა, რასაკვირველია, კომპოზიციის სისტემას მისდევს. აქაც თითოეული დანაშაული აღნუსხულია და ფას-დადებული. ***თუ დამნაშავე ზარალს არა ზღავს, ჯარიმას არ გადაიხდის, მაშინ შურისძიებას მიმართვენ, მაშინ სისხლი სისხლს თხოულობს. ჯარიმა კერძო საკუთრებაა, დანაშაულის ფასი, თეთრი დაზარალებულს ან იმის ოჯახს ერგება, თითქო ბოროტის ქმნა აღებ-მიცემობა და ხელშეკრულობა იყოს!*** (ურბნელისა, 1890:27).

როგორც ჩანს, ძეგლის დება მაქსიმალურად ცდილობს დანაშაულს სადამსჯელო სახეს მისცეს ჯარიმის სახით, ფულადი გადასახადი დაუწესოს და ძველი ტრადიციული სისხლის აღების წესის გამოყენება შეამციროს. უნდა შევნიშნოთ, რომ ტრადიციული დასჯის სახეები ძალზე მკაცრი და ხშირ შემთხვევაში დამღუპველი იყო არა მხოლოდ ცალკეული პირებისათვის, არამედ ზოგჯერ მთელი გვარისათვისაც. თუმცა მათი სრული მოსპობა იმ ეტაპისათვის შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

საკმაოდ დაუნდობლად გვეჩვენება დასჯის ისეთი ფორმა, როგორიცაა გარდახვეწა, ე.ი. სამშობლოდამ განდევნა. ამ ძველი ჩვეულებას საწყისი მოეპოვება იმ დროს, როცა რომელიმე ერის ცხოვრება საგვარეულო წესზეა მოწყობილი. თემიდან გაძევებული პიროვნება ბედკრული და უკუღმართი ***,,უთვის–ტომო''*** შეიქმნებოდა, გვარს უნდა მოშორებოდა, საგვარეულო მიწა–წყალი დაეტოვებინა, შორს გადახვეწილიყო, ბეჩავი და უპატრონო მაწანწალა გამხდარიყო. გარდახვეწასა და მაწანწალობას ადამიანი გაუძლებდა, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ყველას სრული უფლება ქონდა დაუსჯელად გადახვეწილი ადამიანი დაეჩაგრა, თუნდაც მოეკლა. გვარი მას არ მფარველობდა და მკვლელს შესაბამისად პასუხსაც არავინ მოთხოვდა. ამიტომაც საშინელი და

თავზარდამცემი სასჯელი იყო გარდახვეწა, გვარიდან განდევნა. ეს უბედურება გარდახვეწილს ერთი-ორად უძლიერდებოდა, რადგანაც გაძევებას თან მოსდევდა მამულის ჩამორთმევა (ურბნელისა,1890:9).

მამული სახელმწიფო სარგებლობაში, ,,ხაზინა'' გადადიოდა. კიდევ უფრო საგანგაშო იყო ის ფაქტი, რომ გარდახვეწილის ოჯახს სახლსაც და კერასაც ჩამოართმევდნენ და ერისთავს, ან გამგებელს ჩააბარებდნენ: ,,*ახლა აბა წარმოიდგინეთ მშიერ–მწყურვალი ცოლ–შვილი, ბეჩავად ხეტიალი უცხო ადგილას, სირცხვილი და პატივის ახდა, მუდამ შიში და ელდა, ცუდ–უბრალოდ არავინ მომკლასო, და გაიგებთ, რასაც უქადიდა კაცს გარდახვეწა და მამულის წაღება....თვით სისხლი დამნაშავეს ფულით უნდა გადაეხადა და ეს გარემოება მით უფრო შესანიშნავია, რომ მეზობლებში ასე არ იყო. ფულად თეთრია მიღებული და ეს ალბათ იმიტომ, რომ მეფე გიორგი ბრწყინვალეს ჯერ მოჭრილი არა ჰქონია თავისი საკუთარი ფული–გიორგული*“ (ურბნელისა, 1890:11).

ძეგლის დება, როგორც ვხედავთ ტოვებს ადგილობრივი, ტრადიცული სასჯელის ფორმებს, როგორიც არის გარდახვეწა ანუ თემიდან გაძევება, ამას ურთავს თანამედროვე სასჯელის სხვა ფორმებს მაგ: თანხის გადახდას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კანონები შედგენილია და მორგებულია მთის მოსახლეობაზე და გათვალისწინებულია მათი ადათ წესები.

რასაკვირველია, თუ მოკლული ანუ სხვამხრივ დაზარალებული საჯარო მოხელე არ იყო, მაშინ მოქმედებდა ერთად–ერთი ფორმულა: ***,,გვარსა ზედა''.*** ადგილობრივი მოხელეებიდან ყველაზე მაღალ თანამდებობას წარმოადგენდა ერისთავის თანამდებობა. ამიტომ ვინც ერისთავს მოკლავდა, ყველაზე დიდ დამნაშავედ ითვლება. თვით იგი მკვლელობა ***,,უმსგავსო და უსაზომო შეცოდებაა.''*** ამ ***,,შეცოდებისათვის''*** სამგვარი სასჯელი იყო დაწესებული – გარდახვეწა, მამულის წაღება და სისხლის დაურვება გვარსა ზედა, – რომელიც თითქმის ყველა დამნაშავისათვის სავალდებულოა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გარდახვეწა და მამულის წაღება ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივია იმის

შესაბამისად, თუ ვინ იყო ბოროტმოქმედი და მსხვერპლი ბოროტმოქმედებისა (ურბნელისა, 1890:9).

ვხედავთ, რომ სახელმწიფომ მოახდინა დანაშაულთა კლასიფიკაცია დაზარალებულის სტატუსის მიხედვით, რაც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ საზოგადოება დაყოფილია სოციალურ კლასებად და რაც უფრო მაღალი სტატუსის მქონეა პიროვნება მით უფრო მძიმეა მის მიმართ ჩადენილი დანაშაული, თავის საზღაურთნ ერთად.

ძეგლის დების მიხედვით მკვლელობის ორი სახე არსებობს - ჯგუფური და ინდივიდუალური. ***,,შეიძლება გამგებელი მოკლას მთელმა ხევმა და სოფელმა, მაგრამ ისეც მოხდება, ცალკე კაცს შეემთხვას მოკვლაო“*** (ურბნელისა,1890:12)**.** საყურადღებოა, რომ კანონთა კრებულში ეს ორი დანაშაული ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებულ დანაშაულადაა მიჩნეული. პირველი, ჯგუფური დანაშაული უფრო დიდ გადაცდომადაა აღიარებული, ვინაიდან მთელი ხევისა და სოფლის ურჩობასა და ამბოხებას მოასწავებს. დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე სასჯელიც უფრო დიდია. კერძოდ, ***,,ექვსი ათასი თეთრი უნდა დაეურვოს მსახურს გამგებელს, გარდა ამისა, თითოეული კომლი უნდა ,,გაებეგრათ”: თითო ცხენი ბეგარად დაედვას წელიწადსა შიგან გამოსაყვანელად სასეფეოდ... ეს ძველადვე ასე ყოფილა... გარდახვეწა და მამულის წაღება არ შეიძლებოდა და მოუხერხებელიც იყო“.*** ამიტომ კანონმა ,,ძველს'' ***ჩვეულებას მიმართა და მართლაც, იგი ჩვეულება ამ შემთხვევაში უფრო სავარაგო და სახეიროა***“ (ურბნელისა,1890:12).

საზოგადოდ ძეგლის დება სასტიკად სჯიდს ყველას, ვინც კი უარს იტყოდა ლაშქრობაზე. ბუნებრივია ეს არაა გასაკვირი. სახელმწიფოსათვის ხშირად საჭირო იყო მთიულების განთქმული ვაჟკაცობა, გულადობა. მაგრამ მთიულს ერთი ნაკლიც სჭირდა: ურჩი იყო, გულაღებული და იქნება ხანდახან საერთო მტერსაც გულ–ცივად ეკიდებოდა. ამიტომაც ძეგლმა დააწესა, რომ თუ ვინიცობაა ხევი, სოფელი, ერისთავისა და გამგებლის სიტყვაზე, სალაშქროდ არ გამოვა,

ყველა კომლს თითო ხარი წაართვით და ერთის წლით მამული სასეფეოდ დადეთო (ურბნელისა,1890:16).

აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე ვიგებთ, რომ მთაში ხშირი ყოფილა მთლიანად ხევის ურჩობა, ერთად გამოსვლა სახემწიფოს წინაშე, სამათალის თავად ხალხის ხელით აღსრულების შემთვევები.

,,გამგებელი'' - საზოგადოდ ცნობილია, რომ ყველა ძველი სისხლის სამართალი მხოლოდ ბოროტმოქმედების გარეგან მხარეს აძლევს მნიშვნელობას და შინაგანს, ანუ განზრახვას, აზრს უყურადღებოდ ტოვებს. სამართალწარმოებისათვის საკმარისია მხოლოდ მკვლელობის ფაქტის არსებობა, მაგრამ არ განიხილება ჩადენილი დანაშაულის მოტივი, არავინ კითხულობს ეს განზრახ ჩადენულია თუ არა, ამის განხილვა საჭიროდ არ ითვლებოდა; ამიტომ ძველი სჯული და ადათი თითქმის ერთნაირად სჯის ***,,ფათერაკითა''*** და განზრახ მოკვლას. ძეგლიც სწორედ ამ საყოველთაო აზრს მისდევს, როცა აღიარებს: ***,,თუ ერთს კაცს ეფათერაკოს...მამულისაგან გაიძოს და შეუნდობლად მამული სასეფეოდ დაიდვასო''***... მაგრამ გარდახვეწა და მამულის წაღება არ იყო საკმარისი და ***სისხლიც ცალკე უნდა დაეურვათ.*** მოხდებოდა, რომ ***,,მეფათერაკეს''*** შეიძლება არა ჰქონდა სისხლის დასაურვებლად. მაშინ იმის მამულს გამგებელის ოჯახს გადასცემდნენ, თუ არა და, თვით მეფე გადაიხდიდა სისხლსა და მამული სასეფეოდ დაიდებოდა (ურბნელისა,1890:12).

ვხედავთ, რომ ძეგლის დება ძველ ტრადიციას აგრძელებს და ვერ ახდენს იგი სრულ კლასიფიცირებას და განხვავებას განზრახ მკვლელობასა და შემთხვევით მკვლელობას შორის, ამიტომაც ამ ორივე დანაშაულის სასჯელი თითქმის ერთგვარია.

რაკი სულ პირველად ოჯახს ჰქონდა უპირატესობა, ამიტომ ყველაზედ დიდი სისხლი სდის იმ დამნაშავეს, რომელიც მოჰკლავდა ხევის–ბერის გაუყოფარს და მოახლეს (მოახლე–ახლო ნათესავი: მამა, ბიძა, ძმისწული (ურბნელისა,1890:14).

ძეგლის დების მიხედვით ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაული უფრო მძიმეა, ვიდრე იგივე სტატუსის მქონე ცალკე მცხოვრები ნათესავისა. რადგანაც ამ შემთხვევაში უფრო მეტი ადამიანი იღებს ზიანს.

სისხლის მაღალი რაოდენობით განისაზღვრებოდა ხევისბერის მკვლელობაც. უკეთუ *,,ქვეყანა''* მოჰკლავდა ხევისბერს, ჯარიმა და გადასახადი ისეთივე უნდა წართმეოდა, როგორიც მომსახურე–გამგებელის მოკვლაში. მაგრამ ხევისბერი ხევისბერის მოკვლისათვის მომსახურე გამგებლის სისხლს იხდიდა, ექვსი ათას თეთრს. სისხლს გარდა, ადმინისტრატიული სასჯელიც ერთი და იგივე იყო: სამ წლით გარდახვეწა, მამულის სასეფეოდ შეტანა და ეგრედ წოდებული სახლის ჩამორთმევა. ერისთავსა და გამგებელს უნდა ჩაებარათ გარდახვეწილის სახლი (ურბნელისა,1890:15).

ყოველივე ზემოთ თქმული გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ხევისბერი და გამგებელი ერთსა და იმავე საფეხურზე დგანან, მაშასადამე ხელიფულებამ შემოიტანა ახალი თანამდებობები, თუმცა ძველი ადგილობრივი, ტრადიციული დაუტოვა მოსახლეობას. სავარაუდოდ, ის ითვალისწინებს და სიფრთხილით ეკიდება იქ არსებულ მდგომარეობას.

რაკი ჰაეროვანი უბრალო ერის კაცისაგან განსხვავდებოდა, სისხლიც მეტი სდიოდა,– თუ ჰაეროვანმა მოკლა ჰაეროვანი, სასჯელად ათას ორასი თეთრი ეკისრება, ასევე სამი წლის განმავლობაში უნდა გარდიხვეწოს და მამული სასეფეოდ წაეღოს. ასეთივე სასჯელი უნდა გარდაეხადა ხევისბერს, როცა ჰაეროვანი *,,ეფათერაკებოდა''*, თუ უცაბედად შემოაკვდებოდა ეს უკანასკნელი. ძეგლის დებაში მოხსენებული არ არის რამდენი ღირდა ,,სოფლიონისა'' , ,,ვინგინდავინას'' სისხლი. მხოლოდ ნაჩვენებია საზოგადო ფორმულა *,,გვარსა ზედა''* და იგი ფორმულა ხომ ნიშნობლივ არ ამბობს ამდენი დაეურვოს დაზარალებულსაო. ჩვენი აზრით, ძეგლმა უბრალო *,,სოფლიონის''* სისხლი თვით ადგილობრივ ბიჭეებს მიანდო, ადათსა და ჩვეულებას გადასცა ეს საქმე, მხოლოდ ერთი პირობით: *,,სოფლიონს''*, როგორც ყველა სხვას, სისხლი დაეურვოს *,,გვარსა ზედაო''*... ამიტომაც არ ჩანს, რომ სახელდობრ ესა და ეს უნდა მიეცეს

,,სოფლიონს'' სისხლის ფასშიო. ეს გარემოება, სხვათა შორის, ცხადად ამტკიცებს, რომ ***,,სოფლიონი''*** იურიდიულად ყველაზე დაბლა იდგა, შედარებით ყველაზე ცოტა სისხლი სდიოდა, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, კანონი პირდაპირ მოიხსენიებდა ***,,სოფლიონისა''*** და ***,,ვინგინდავინას''*** ამდენი სისხლი უნდა დაეურვოსო (ურბნელისა,1890:18).

აღწერილი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა დაყოფილი იყო სოციალურ ფენებად, თანამდებობის და ხალხის წინაშე დამსახურების მიხედვით. თავად გლეხებს შორისაც იყო განსხვავება, მათი დამსახურების მიხედვით.

დედ-მამის მოკვლა საშინელი და საზარელი ბოროტება იყო და, ასე გასინჯეთ, ძეგლს ვერც კი წარმოუდგენია ეს ბოროტება, - ***,,ჩვენთა ჟამთა შიგან არ ქმნილა და ღმერთმან ნუ იყოფინოსო...''*** რასაკვირველია, ამ უმძიმეს დანაშაულს სასჯელიც შესაფერისი მოსდევდა - ***,,რაც უარესია, ყველას დამართება და ყოფა პირიანიაო''***: სიკვდილით დასჯა, ამოწყვეტა, ამოფხვრა, სამუდამოდ გაძევება და სხვა. მაგრამ ამაზე მეტი უბედურება სხვა რაღა უნდა დამართოდა კაცს! სისხლის დაურვება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და ან რა სისხლი გაანელებდა გონებისა და გრძნობის ღრმად აღმაშფოთებელს დედ-მამის მოკვლას. ძეგლის სიტყვით, სისხლის დაურვება ,,უმსგავსოა'' და სხვებისთვის სამაცდურო იქმნებაო. სისხლის დაურვება გაჩენილია ძმის მოკვლაში და აქაც დამნაშავეს სისხლი ***,,გვარსა ზედა''*** სდიოდა. ამ სისხლის დენას ზედ ერთოდა ათი წლით გაძევება და მამულის სასეფეოდ დადება. როცა ვადა გათავდებოდა, ერისთავი და გამგებელი ვეზირის პირით მოახსენებდნენ დარბაზს და მაშინ დამნაშავე ***,,შემოუშვანო''***... (ურბნელისა,1890:26).

ძეგლის დებაში, როგორც ვხედავთ ვხდებით დანაშულის პრევენციის ფაქტებს, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტიპის დანაშაული არ მომხდარა, იგი მაინც აღწერს ამ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში რა მოელის პირს.

ძეგლმა სასტიკად აკრძალა ეს სამამაცო ვარჯიშობა და დამნაშავეს ,,დარბაზით მამული წაეღოს და ციხე დაექციოსო'': მაგრამ დასცხრა შფოთი და მოუსვენარი ბუნება ლაღის მთიულისა?!. (ურბნელისა,1890:33).

რასაკვირველია, დაშორებით ნაკლებად ფასობდა ტანის სუბუქი გერში, ანუ დაკოდილობა. ჯერ ერთი, რომ ამ დაკოდილობით კაცი არ დაშავდება, მეორედ - ტანისამოსი ჰფარავს და სათაკილო არ არისო. ამიტომ თითო ასეთს დაკოდილობაში მცირე ჯარიმა უნდა გაეღოთ, ერთი არზანგი და სადასტაქრო გარდასახადი. ეს ტანის მსუბუქი დაკოდილობაც მოხსენებულია აღბუღას სამართალში, სადაც ***,,უჩინარი ადგილი''*** უდრის ძეგლის ***,,არაჩნდეს ტანისამოსისაგანს''***, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ აღბუღა ფასს არა სდებს ამ დაფარულს გერშს და ამბობს, საპატიო კაცებმა გააჩნინონ ჯარიმაო. პირზედ თვალები გვასხია და ჩვენთვის ორივე თვალის სინათლე ერთნაირად ძვირფასია. ძეგლიც მარჯვენა და მარცხენა თვალს თანასწორად აფასებს და ამბობს, რომ ერთის თალის ***,,წამოვარდნისათვის''*** სისხლის მეოთხედი მიეცით; ორის თვალის გამოსთხრაში ერთი ორად, ე.ი. სისხლის ნახევარი, და გარდა ამისა დასტაქრის დანახარჯიცაო (ურბნელისა,1890:28).

ვახტანგის სამართალი ყველა კბილს თანასწორად ***აფასებს-,,წინა სახიჩრად დარჩების, უკანა ჭამაში დააკლდებისო''***, თითქო წინას-კი ნაკლები ჯაფა ადგეს ჭამის დროს!.. (ურბნელისა,1890:28).

ახლა ასოებზედ ვისაუბროთ. ტანს ხელები აბია. ძეგლი უყურადღებოდ არც ამას ტოვებს, თუმცა კი მარტო მარჯვენა ხელს იხსენიებს, თითქო მარცხენა ხსენებითაც არა ღირდეს. თუ ვისმეს მარჯვენა ხელი მოკვეთეს, ან დაუშავეს, მესამედი სისხლი უნდა მისცენო, მაგრამ ანალოგიით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მარცხენა ხელი მარჯვენას უდრიდა. აი რადა. ძეგლი ამბობს, რომ კაცი თუ ცაცია იყოს ***,,ლაყოჩა''***, მარჯვენის ხელის სისხლი დაეურვოსო. ***,,ლაყოჩა''***, როგორც ვიცით, ცაცია ხელს მარჯვენად ჰხმაობს. მაშასადამე, ხელსწორე კაცის მარცხენა ხელსაც მარჯვენის ფასი უნდა ჰქონოდა. ეს აზრი მით უფრო საბუთიანია, რომ საზოგადოდ ჩვენი ძველი სამართალი ხელების თანასწორობას არ უარჰყოფს და მათ შორის არაფერს განსხვავებას არა ჰპოვებს რასაკვირველია, ორივე ხელის მოკვეთა ან დაშავება მძიმე დანაშაულობაა და

ამისდა გვარად ძეგლიც დიდს ჯარიმას აწესებს, ნახევარ სისხლსა და დასტაქართა წამლის ფასს. (ურბნელისა,1890:29).

არც თითებია დავიწყებული, თუმცა ძეგლს მარტო ხელის თითები მოჰგონებია და ფეხებისა-კი უყურადღებოდ გაუშვია. მაინც ძეგლი ფეხებს არა სწყალობს! თქვენც მოგეხსენებათ, რომ თითებში ცერი ყველაზედ უფროსი და პატივცემულია. ამიტომ ფასიც შედარებით მეტი ადევს, ხელის ნახევარი უნდა მიეცესო. სხვა თითები ერთი ერთმანეთზედ მეტნი არ არიან და ჯარიმაც თანასწორად ერგებათ, ხელის მესამედი, სულ ერთია მარჯვენა თითი იქნება, თუ მარცხენაო (ურბნელისა,1890:29).

ძეგლის წინასიტყვაობაში მოხსენებულია, რომ, სხვადასხვა ბოროტმოქმედების გარდა, ხშირი იყო აგრეთვე ,,ცოლის წაგვრა და უბრალოდ დაგდება''. თვით ეს გარემოებაც მიზეზად დაედო ძეგლის დადებას. ამიტომ ცოლ–ქმრობასა და საზოგადოდ საოჯახო წეს–წყობილებას მიქცეული აქვს ჯეროვანი ყურადღება (ურბნელისა,1890:19).

მოღოლური კულტურის საქართველოში გავრცელებამ გამოიწვია მრავალცოლიანობის გავრცელება, ცოლის უმიზეზოდ მიტოვება, სხვისთვის წართმევა, ამიტომაც საჭირო გახდა ძეგლში სოციალური ზნეობრივი, ნორმების აღწერა მოწესრიგება. ძეგლის დებამ ვერ დაიცვა ქალთა უფლებები, მხოლოდ ის მოახერხა,რომ ცოლის უმიზეზოდ მიტოვება დასჯადი გახდა, თუმცა ის წინ ვერ აღუდგა სხვა დანაშაულობებს და ადგილობრივი ტრადიციებით მოქმედების უფლება დატოვა, თუმცა მკაცრადაა დაცული მამკაცთა ინტერესები, რომელთათვისაც ცოლის წართმევა, საცოლის წართმევა ისჯება უმკაცრესი ზომებით, ფართო მომქმედების საშუალებას აძლევს მამკაცს.

მაშასადამე, ძეგლმა სხვა შემწეობა ვერ გაუწია დიაცს, მხოლოდ სისხლი გაუჩინა, ე.ი. სწორედ ისა, რაც უიმისოდაც ჩვეულება და ადათი ქალს აკუთვნებდა გარეშე მეზობლობაში. მეორე უძველესი კანონიც, აღბუღას სამართალი, რასაკვირველია, ძეგლის განჩინებას მისდევს,–ცოლის უმიზეზოდ

და უბრალოდ დაგდება შეიძლებაო, მხოლოდ საჭირო კია ნახევარი სისხლი მისცეთ და მზითევი თან გაატანოთო. ერთის სიტყვით, ორივე უძველესი სჯულ–დება მხოლოდ საზოგადო ჩვეულებასა და ადათს ადგია, როცა ცოლის დაგდებას მოგვითხრობს (ურბნელისა,1890:20).

რაკი ერთხელ ჩვეულებამ დააწესა, მოტაცება საბუთიან ცოლის შერთვას ნიშნავსო, ქმრიანი ქალის მოტაცებაც ადვილი შეიქმნა და ხშირიც იყო, მაგრამ თუმცა საზოგადოდ უქმრო და ქმრიანის ქალის მოტაცებას ძველი ადათი ესარჩლებოდა, კანონმა–კი სასტიკი ყურადღება მიაქცია ცოლის მოტაცებას, რადგანაც ეკლესიამ ქორწინება თავის საკუთარ საქმედ ცნო და ცალკე ცოლ-ქმრობის მოძღვრება დააწესა (ურბელისა,1890:20).

მაშასადამე, ჯვარის გაცვლა, ნიშნობა ნამდვილი იურიდიული პირობა იყო და სავალდებულოდ ითვლებოდა მომავალ ცოლ–ქმრობისათვის (ურბნელისა,1890:20).

შავსა და ბნელს სურათს წარმოადგენდა ცოლის წაგვრა. თითქმის არც ერთი ბოროტმოქმედება არა ჰბადავდა ისეთს სასტიკსა და მედგარს მტრობას, როგორც წაგვრა. ჯერ ერთი, რომ დამნაშავეს სრული სისხლი უნდა დაეურვა. მაგრამ ეს არა კმაროდა: ***,,ცოლ წაგვრილს''***, მთელის წლის განმავლობაში სრული ნება ჰქონდა ყოველგვარი ავკაცობა და ბოროტი მიეყენბინა წამგვრელისათვის, თავს დასხმოდა, დაერბია, გადაეწვა... თითქო ესეც ცოტა იყო და შეურაცხყოფილ ქმარს მეორე წელიწადსაც ნება ეძლეოდა შური ეგო ***მტრისათვის,–,,ერთს წელიწადს უკან რას ემტერების, იგიც მიეფერების''***, მხოლოდ იმ პირობით, რომ მაშინ მარტო ***,,ნახევარ სისხლის დაურვება მართებს''***.. საყურადღებო აქ ისაა, რომ შურისძიების დროს, რაც უნდა ბევრი ზარალი და ნება მიეცა ცოლ–წაგვრილს თავის მტრისათვის, სისხლში მაინც არ ჩაუვარდებოდა. თუნდა მტერი კიდეც მოეკლა, მაინც არაფერი; მხოლოდ თუ ვისმე იმის ოჯახისას მოკლავდა, ***,,სისხლი არასოდეს გაუცუდდების''***, ე.ი. მოკლულის სიხლი უანგარიშოდ ცოლ–წაგვრილსაო (ურბნელისა,1890:21).

ეს ხომ ასეა, მაგრამ ძეგლი ერთს სიტყვასაც არ ამბობს ოჯახის უფროსს ან რომელსამე წევრს ნება აქვს თუ არა საოჯახო ქონება სხვას უანდერძოს, ოჯახს გარედ გაიტანოს. არა, ანდერძი სრულიადაც არ იხსენიება ძეგლის დებაში. კიდევ არაფერი, როცა მამულის ანდერძად დატოვება არ შეიძლებოდა. მამული საბატონო იყო და არავის უფლება არ ჰქონდა სხვის საკუთრება თავის ნებაზედ გარდაეცა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვით ***,,ნასყიდის''***, ეი. შეძენილის ქონების ანდერძად დატოვებაც არ არის მოხსენებული. ოჯახს რაც კი რამე აქვს, საერთო კუთვნილებას შეადგენს და ძეგლი ნებას არავის აძლევს ამ ქონებიდან სხვას ვისმე, გარეშე ოჯახის კაცს, ნაწილი უანდერძოს. მხოლოდ ბეითალმალად დარჩენილი პარტახტი მამული ებოძებოდა ხოლმე გვარის კაცს. მაგრამ ბეითალმალად მამული მაშინ შეიქმნებოდა, როცა ოჯახი ამოწყდებოდა ხოლმე და როცა ***,,ოჯახს მემამულე აღარ მიაჩნდა''*** (ურბნელისა,1890:24).

საიდან წარმოსდგა საოჯახო ქონების ამ გვარი თვისება? უმთავრესად იქიდან, რომ საოჯახო ეკონომიური განწყობილება და წესი აღმოცენდა უბატონო მამულზედ, სახელმწიფოს საკუთრებაზე და ამ გარემოებამ ძლიერი გავლენა იქონია. საბატონო მამული ხელს არ უწყობდა კერძო საკუთრების აღორძინებას და ეს უკანასკნელი ჯეროვანად ვერც აღორძინდა. მართალია, ***,,ნასყიდი''*** კერძო საკუთრებაა, მაგრამ ***,,მამაული''*** თავისის მნიშვნელობით სრულიად სჩაგრავს ***,,ნასყიდსა''*** და რომ კერძო საკუთრებას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა, იმას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ძეგლმა ანდერძი არ იცის და არც დააწესა. აქ არ უნდა დავივიწყოთ ერთი მოვლენაც,- ძეგლის დროს საგვარეულო კავშირი უკვე შერყეული იყო, მოკლებული იყო პირვანდელს ცხოველს ძალას და საკვირველიც არაა, რომ ოჯახს დარჩა უპირატესობა (ურბნელისა, 1890:25).

დასკვნა

საქართველოში მონღოლთა ბატონობა XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ისინი დუმნებად ყოფენ ტერიტორებს, აწესებენ მონღოლურ გადასახადებს, შემოაქვთ მონღოლური სამხედრო-ეკონომიკური სისტემა, სამთავროების სათავეში აყენებენ მონღოლ მოხელეებს და ეწევიან მომთაბარე ცხოვრებას. ყოველივე ამან, გამოიწვია ქვეყნის დაქსაქსულობა, სახელმწიფო სტუქტურის მოშლა, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის განადგურება, მონღოლური კულტურის ქართულ კულტურაში აღრევა და დამკვიდრება.

მდომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა საქართველოს მთიანეთში. რომელიც, მონღოლურმა ბატონობამ უფრო მეტად დააშორა ცენტრალურ ხელისუფელბას და ვეღარ ხერხდებოდა მისი დაკავშირება ქართულ ხელისუფლებასთან. ბარიდან გაქცეული მოსახლეობა თავს აფარებდა მთის ტერიტორიას, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეებით საუკეთესო იყო გაქცეული გლეხის დასამალად და თავდაცვისთვის. მაგრამ, პარალელურად მთაში იმატა სხვადსხვა დანაშაულმა, დაიწყო ქართული ტრადიციების მოშლა და წარმართული, მონღოლური ტრადიციების გავრცელება. მთის ტერიტორია, საქართველოსთვის ყოველთვის წარმოადგენდა ძლიერ საყრდენს, იქაური მოსახლეობა იცავდა სასაზღვრო ტერიტორიებს და ისინი წარმოადგნენ ასევე მნიშვნელოვან სამხედრო ძალას. ქვეყნის ძლიერებისა და ერთობისთვის საჭირო იყო გიორგი V მოეწესრიგებინა მთაში არსებული მდგომარეობა, მან გაითვალისწინა იქ არსებული სენსიტიური სიტუაცია. საქართველოს არ შეეძლო ბარში მოქმედი სამართალი უშუალოდ შემოეღო მთაში. ამას აბრკოლებდა მთის საზოგადოებრივი ყოფის გარკვეულად განსხვავებული დონე. ამიტომაც თავად გაემგზავრა ***,,ჯვართაყელს აქეთ, ხადა-ცხაოტს, ზანდუკის ხევის კიბეთ ქვეშ და მენესოს ზემოთ“*** რათა, თავად შეესწავლა იქ არსებული მდგომარეობა და კანონთა კრებული მორგებული ყოფილიყო მთის მოსახლეობის ტრადიციებსა და

კულტურაზე. როგორც ,,ძეგლის დადება“ გადმოგვცემს მეფე არ დაკმაყოფილდა ამით და საკანონმდებლო კრებაზე მოიწვია ერისთავი, ხევისბერი, ჰეროვანი და მათი მონაწილეობით შეჰქმნეს იგი.

,,ძეგლის დადების“ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმნტით ვიგებთ თუ რა რთული პოლტიკური, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იდგა არა მარტო საქართველოს მთიანეთში, ასევე სრულიად საქართველოში. გიორგი V თავისი გამჭრიახი, ტოლერანტული ნაბიჯებით მოახერხა საქართველოს გაერთიანება. მან მთიულის თვით–მმართველობას და სათემო თავისუფლებას არა მოაკლო რა, მხოლოდ თემი და სახელმწიფო დააკავშირა, დაუმორჩილა ერთმანეთს. ქვეყნის პოლიტიკური, ენომიკური წინსვლისთის საჭიროა სახელმწიფოს ერთიანობა როგორც პოლიტიკურ-ტერიტორიულ, ასევე სტრუქტურულ დონეზე.

,,ძეგლის დადება“ გვაძლევს საშუალებას დავინახოთ მეფე გიორგი V ბრწყინვალის დიადი პიროვნება, იგი იყო ჭკვიანი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი.

გამოყენებული ლიტერატურა

ბატონიშვილი, ვ. (1973). რედ: სიმონ ყაუხჩიშვილი აღწერა სამეფო საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტომი IV. თბილისი.

კაკაბაძე, ს. (1913). რედ: მ. ლოსაბერიძისა. ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ. ტფილისი: ელექტრო-მბეჭდავის.

კიკნაძე, ვ. (1989). საქართველო XIV საუკუნეში. ტიფლისი: ,,მეცნიერება".

ლომინაძე ბ. (1979). მონღოთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ. (XIII ს. 40-იანი-XIVს 10-იანი წწ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 552-623 თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ლომინაძე, ბ. (1979). საქართველო მე XIVს. პირველ ნახევარში. მონღოლთა ბატონობის გაუქმება, გიორგი V ბრწყინვალე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III , გვ.623-670, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

მაკალათია, ს. (1944). გიორგი ბრწყინვალე. თბილისი: საქართველოს მხარეთ მცოდნეობის საზოგადოება.

მეტრეველი, ვ. (2003). საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი: ,,მერიდიანი".

ჟამთააღმწერელი. (1895). ქართლის ცხოვრება ტომი II. თბილისი.

ჟამთაღმწერელი. (1959). რედ: სიმო ნყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრება ტომი II. თბილისი.

ურბნელისა, ნ. (1890). ძეგლის დადება მეფე გიორგი ბრწყინვალესი. ტფილისი: სტამბა-ლიტოგრაფია, ი. მესხისდას. ა. პოლტაევისა.

ქართლის ცხოვრება, ნაწილი 2. (1849). მარი ბროსეს გამოცემა.

ჯავახიშვილი, ივ. დოლიძე, ი. სურგულაძე, ივ. (1920). რედ: ექვთიმე თაყაიშვილი. ხელმწიფის კარის გარიგება.

ჯავახიშვილი, ივ. (1928). ქართული სამართლის ისტორია. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა.